დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე
წევრები:
ლალი მექერიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
მარინე კუჭუხიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
თეონა მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243874820

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი
ფაქტობრივი მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტი დაბა სურამი ი.გოგებაშვილის ქ.N5
საფოსტო ინდექსი	5700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Surami1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0368-27-02-50

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 26 0000366280 26/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 30 აპრილი და 01 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი დაბა სურამი ი.გოგებაშვილის ქ.N5 ერთი შენობა-ნაგებობა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი დაბა სურამი ი.გოგებაშვილის ქ.N5, ერთი შენობა-ნაგებობა
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი დაბა სურამი ი.გოგებაშვილის ქ.N5, ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 30 აპრილს და 1 მაისს სსიპ - სსიპ - მიხეილ მურვანიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N1 საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელი დამატებითი დოკუმენტების სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს, ბუღალტერს, სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრ მასწავლებლებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის 15 მოსწავლესთან და სამივე საფეხურის 10-მდე მშობელთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის დროს პროცესში ჩართული იყო დაწყებითის საგნობრივი ექსპერტიც, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუებში და საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმის შედგენაში. ვიზიტის მე-2 დღეს ონლაინ ფორმატში გაიმართა ექსპერტების კიდევ ერთი შეხვედრა-გასაუბრება საგნობრივ კათედრებთან, სადაც მოხდა შესწავლილი მასალების გაანალიზება და ძირითადი მიგნებების გაცნობა.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა. მასწავლებელთა გუნდი და ადმინისტრაცია გამოირჩეოდა მაღალი მიმღებლობით, წარმოდგენილი მასალები იყო ორგანიზებული და ოპერატიულად მოწოდებული. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ **შეესაბამება**

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც	**რეკომენდაცია #1:** სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - ახალი უსაფრთხოების შესახებ დასკვნის

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	მოპოვება რეაბილიტაციის შემდეგ - შესრულება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2028 წელი. **რეკომენდაცია #2:** სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - კამერების შესყიდვა - შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2027 წელი. **რეკომენდაცია #3:** სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - ღიობის შეღობვა რკინის დამცავი ბადით/ჯებირით - შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 15.09.2026 წელი.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - **სარეაბილიტაციო პროცესის გავლა** - შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2028 წელი.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	**სკოლამ უზრუნველყოს** შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის განხორციელება - **სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსის დამონტაჟება** გეგმით განსაზღვრულ ვადებში 30.04.2028 წელი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა	სკოლამ უზრუნველყოფს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის** (გამწოვი, ცეცხლგამძლე მაგიდა, ონკანი/ხელსაბანი) მოწყობა საბაზო/საშუალო

	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საფეხურებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 30.04.2027 წელი.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - **შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2027წ.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	**მიზანშეწონილია,** სკოლის ხედვა შეიცავდეს დროის განსაზღვრულ პერიოდს, სკოლის კონკრეტულ მისწრაფებებს და სკოლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას.
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	**მიზანშეწონილია,** სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები მოცემული იყოს კონკრეტული ნაბიჯების სახით, რომლებიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ პერიოდში და ეს აქტივობები ასახავდეს ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ უფრო კონკრეტულ ქმედებებს.
ინდიკატორი #1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	**მიზანშეწონილია,** შეფასების პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი, კერძოდ, გაიწეროს ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, როგორ ხორციელდება რეაგირება შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**მიზანშეწონილია,** სტრუქტურა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი. **ასევე, მიზანშეწონილია,** სასკოლო სასწავლო გეგმა (ან სხვა რომელიმე დოკუმენტი) არეგულირებდეს კათედრების შემადგენლობას საგნების მასწავლებლების მიხედვით და ზუსტად იყოს გაწერილი რომელ კათედრაში ერთიანდებიან კონკრეტული საგნების მასწავლებლები. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში იყოს გაწერილი კათედრის ფუნქციები. **ასევე, მიზანშეწონილია,** ფუნქცია-მოვალეობების მარეგულირებელ ერთსა და იმავე დოკუმენტში იყოს გაწერილი როგორც ტექნიკური პერსონალის, ისევე ყველა სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები, როცა დირექტორის მარეგულირებელი ბრძანება ეხება სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. **ამავე დროს, მიზანშეწონილია,** ასეთი ტიპის მარეგულირებელ დოკუმენტში, გარდა სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციებისა, მოცემული იყოს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და რგოლების ფუნქციები, როგორიცაა პედ. საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწ. თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრის ფუნქციები, ხარისხის მართვის ჯგუფის.
ინდიკატორი #3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	**მიზანშეწონილია,** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უფრო რეალისტურად იყოს შედგენილი და ასახავდეს სკოლის რეალურ სიტუაციას პერსონალის შეფასების ნაწილში. იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი #3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და	**მიზანშეწონილია,** სკოლამ შაბლონური დოკუმენტების ნიმუშის სახით გამოყენების დროს მოახდინოს მარეგულირებელი დოკუმენტის იმგვარად გადამუშავება, რომ დოკუმენტი მოარგოს მოცემული სკოლის საჭიროებებს

	დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	და რეალურ სიტუაციებს და მასში დეტალურად ასახოს სკოლაში მიმდინარე რეალური პროცესები და ზუსტად გაწეროს პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. **ასევე მიზანშეწონილია,** სკოლაში კონკურსის ჩატარების წესი და შერჩევის პროცედურები დეტალურად ასახავდეს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანებაში აღწერილ ეტაპებს.
ინდიკატორი #3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	**მიზანშეწონილია,** სკოლის მიერ შემუშავებულ რომელიმე დოკუმენტში გაწერილი იყოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მექანიზმში აღწერილი უნდა იყოს, როგორ ხდება დაწესებულებაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი და როგორ ხდება გაზიარებული წარმატებული გამოცდილების გამოყენება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისას.
ინდიკატორი #3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	**მიზანშეწონილია,** სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენეტში დეტალურად იყოს გაწერილი პერსონალის შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს შეფასების სახეს, შეფასების პერიოდს, შემფასებელს/შემფასებლებს და სხვა. **ასევე მიზანშეწონილია,** დოკუმენტში გაიწეროს, რომ სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში და სკოლამ უზრუნველყოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
ინდიკატორი #3.2.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	**მიზანშეწონილია,** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უფრო რეალისტურად იყოს შედგენილი და ზუსტად და კონკრეტულად ასახავდეს სკოლის რეალობას, უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი განსახორციელებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები. ასევე სკოლის პერსონალის გამოკითხვის ფორმები სოციალიზაციის შესახებ ისე იყოს შედგენილი, რომ მორგებული იყოს მოცემული სკოლის თანამშრომელთა

		რეალურ ინტერესებს და არ იმეორებდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სასკოლო პრაქტიკის ნიუანსებს.
ინდიკატორი #3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	**მიზანშეწონილია,** ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, ასევე დეტალურად იყოს აღწერილი ის მიმდინარე პროცესები (რომლებიც უნდა იყოს ციკლური), გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურები და შედეგების შეფასების განხორციელების პროცესი.
ინდიკატორი #3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**მიზანშეწონილია,** სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. სკოლას შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც მას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
ინდიკატორი #3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	**მიზანშეწონილია,** სკოლას შემუშავებული ჰქონდეს შენობაში (შიდა და გარე პერიმეტრზე) სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების გრაფიკი და განსაზღვრული ჰოქნდეს მისი პერიოდულობა, ასევე სანიტარული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში.
ინდიკატორი #3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების	**მიზანშეწონილია,** სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმი - კითხვარები მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ადამიანების

	მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	და პროცესების უსაფრთხოების შესაფასებლად, ასევე ოფიციალურად განსაზღვროს გამოკითხვის ჩატარების პერიოდულობა და პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ასევე გამოკითხვის ანალიზის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინების მექანიზმი უსაფრთხოების გაუმჯობესების მიმართულებით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	**მიზანშეწონილია** სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც განსაზღვრავს რა მექანიზმებით ხდება სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, საგნობრივ კათედრებზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა. **მათემატიკა**: მე-2 კლასის კურიკულუმზე მუშაობისას პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილონ შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებას. კერძოდ, გრაფაში ,,საკითხი“ მითითებულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ,,კონტექსტ- მაგალითები“ მითითებულია საკითხები, ხოლო ,,შემოქმედებითი დავალების იდეა“ მითითებულია დავალების მხოლოდ სახელწოდებები. მე-4 კლასის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა კერძოდ, შემოქმედებითი დავალება ,,ორანჟერიის შექმნა“ არ მუშავდება თემა-საზომი

		ერთეულები, გეომეტრია- ფარგლებში. ეს დავალება მუშავდება თემა-ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება- ფარგლებში და კურიკულუმის შესაბამის გრაფაში პედაგოგებს ყოველივე ეს ასახულიც აქვთ.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სასურველია**, ბუნებისმეტყველების I, III და IV კლასის კურიკულუმებში თემები შეირჩეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. ამავე კლასების კურიკულუმების ჩარჩოში საკითხების, კონტექსტ-მაგალითებისა და შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტი შინაარსობრივად შეცვალონ. ქართულის კურიკულუმების ჩარჩოში დაამატონ ქვეცნებები და რესურსები. მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში დაამატონ თემები და კონტექტ-მაგალითებს დააკვირდნენ. დაამუშაონ თემაში სამივე სამიზნე ცნება. სასურველია, მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს ქვეცნებები და კონტექსტ-მაგალითები. კარგი იქნება თუ, ოთხივე საგნის კურიკულუმებში წარმოადგენენ აქტივობებს, რომელსაც იყენებებნ შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები (დაწყებითი საფეხური - მე და საზოგადოება, III-IV კლ; ჩვენი საქართველო V-VIკლ. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, კათედრამ უკეთ გაიაზროს სასწავლო თემისა და სავალდებულო თემატური ბლოკის მნიშვნელობა, და დაწყებით საფეხურზე, ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაამატოს თემატური ბლოკების სახელწოდებები: მე და გარესამყარო; ადამიანები და ხელოვნება; ხელოვნება ჩვენ გარშემო (საბაზო საფეხურის კურიკულუმების მსგავსად).
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე	სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი.

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**: სასურველია, კურიკულუმებში ასახული იყოს მრავალფეროვანი და საკითხის შესაბამისი კონკრეტული რესურსები (დაწყებითი საფეხური - მე და საზოგადოება, III-IV კლ; ჩვენი საქართველო, V-VIკლ) **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკის საგნის კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იყოს კათედრის გამოცდილება, და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მსგავსად, კურიკულუმის ცხრილში ჩაიწეროს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალი თითოეულ სასწავლო თემაზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებ **მათემატიკა:** დოკუმენტი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომებ ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონ მქონე მოსწავლეებისთვის, როგორ იგეგმება აქტივობები დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, თუ 1-4 კლასში შეიმუშავებენ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკის საგანში, დაწყებით საფეხურზე უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე, შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმების შედგენისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტები გათვალისწინება.

		მათემატიკა: სასურველია, მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება განხორციელდეს დაწყებით საფეხურზეც.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკის საგანში, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთ კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2..1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**მათემატიკა:** მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში, იმ თემების/საკითხების შესაბამისი რესურსების გრაფებია შევსებული, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება შემოქმედებითი დავალებები. აუცილებელია, კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა დასამუშავებელი თემის/ საკითხის შესაბამისი რესურსი სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით. აქვე მიეთითოს გამოსაყენებელი ელექტრონული რესურსების ბმულებიც. სასურველია, სამივე საფეხურზე მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს დავალების იდეები, ან შემოქმედებითი დავალების ბარათები დაერთოს დანართებად კურიკულუმებს.
ინდიკატორი 2.1.2.2		**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები საბაზო საფეხურზე - ისტორია, სამოქალაქო განათლება).

	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმებში ასახული იყოს მრავალფეროვანი და საკითხის შესაბამისი კონკრეტული რესურსები საბაზო საფეხურზე - ისტორია, სამოქალაქო განათლება). **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკის საგნის კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იყოს კათედრის გამოცდილება, და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მსგავსად, კურიკულუმის ცხრილში ჩაიწეროს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალი თითოეულ სასწავლო თემაზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკა:** დოკუმენტი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომებ ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონ მქონე მოსწავლეებისთვის, როგორ იგეგმება აქტივობები დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკის საგანში, საბაზო საფეხურზე უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე, შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმების შედგენისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტების გათვალისწინება.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მუსიკის საგანში, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთ კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**მათემატიკა:** მე-12 კლასის კურიკულუმში სრულად აისახოს სახელმძღვანელოდან თემები. კერძოდ, ზოგიერთი სახის განტოლებისა და უტოლობის ამოხსნა, სიმრავლის ასახვა, ფუნქცია, ვექტორები. სასურველია, სამივე საფეხურზე მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს დავალების იდეები, ან შემოქმედებითი დავალების ბარათები დაერთოს დანართებად კურიკულუმებს.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები საშუალო საფეხურზე - ისტორია, სამოქალაქო განათლება).
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმებში ასახული იყოს მრავალფეროვანი და საკითხის შესაბამისი კონკრეტული რესურსები საშუალო საფეხურზე - ისტორია, სამოქალაქო განათლება).
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკა:** დოკუმენტი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომებ ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, როგორ იგეგმება აქტივობები დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით	**მათემატიკა:** სასურველია მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება განხორციელდეს საშუალო საფეხურზეც.

	განსაზღვრულ ამოცანებს, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა წერილი #MES 3 26 0000624512 27/05/2026, რომლის მიხედვითაც დაწესებულება სრულად ეთანხმება დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა. **მისიაში აქცენტი გაკეთებულია:** 1. განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობაზე, 2. მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე, 3. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ქვეყნის მომავალზე მზრუნველი მოქალაქეების აღზრდაზე.

ხედვაში გათვალისწინებულია: ხარისხიანი განათლების მიცემა უსაფრთხო გარემოში, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვა და სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობა მოზარდებში პიროვნული ინტერესების რეალიზებისათვის.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზგემ-ს. თუმცა ხედვაში არ ჩანს დროის განსაზღვრული პერიოდი, სკოლის კონკრეტული მისწრაფებები და სკოლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. მაგ. მითითებულია თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვა, მაგრამ არ იკითხება კონკრეტული მინიშნება რომელი მიდგომები იგულისხმება კონკრეტული სკოლის შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლის ხედვა შეიცავდეს დროის განსაზღვრულ პერიოდს, სკოლის კონკრეტულ მისწრაფებებს და სკოლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიითა და ხედვით იკვეთება, რომ სკოლას მოაზრებული აქვს საკუთარი როლი უსაფრთხო სივრცის შექმნაში. მისიაში პირდაპირაა მითითებული, რომ **სკოლის მიზანია** უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოში აღზარდოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქეები, **ხედვა კი ითვალისწინებს** ხარისხიანი განათლების მიცემას უსაფრთხო გარემოში. **უსაფრთხოებაზე ორიენტირება**

იკვეთება იმაშიც, რომ სკოლაში **მანდატურის ფუნქციას ასრულებს** სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის ბრძანება - #1-8 27.02.2019 წელი –** „სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზ. წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ"). გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს **მრჩეველთა საბჭო.**

სკოლის მისიითა და ხედვით ასევე იკვეთება სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტი - ხედვაში მითითებულია, რომ სასკოლო საზოგადოება კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პროფესიონალიზმით ხელს შეუწყობს თითოეულ მოზარდში პიროვნული ინტერესების რეალიზებას. აღნიშნულის გამოხატულებაა სკოლაში მოქმედი სამოქალაქო განათლების **კლუბი „პირველების" საქმიანობა.**

სკოლაში ასევე დიდი ყურადღება ექცევა **ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და** პოპულარიზაციას - მრავალფეროვანი **სპორტული აქტივობებით რეგულარულად ხდება** სკოლებს შორის სპორტული, ამხანაგური შეჯიბრებები და მონაწილეობა სპორტულ ოლიმპიადებში.

სკოლის ფილოსოფია ასახულია 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში და სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას შემუშავებული აქვს ღირებულებები: გუნდურობა, სამართლიანობა, განვითარება და ინოვაციურობა, ტოლერანტობა, პასუხისმგებლობა.

სკოლის დირექციის ორგანიზებით 2026 წელს **ჩატარდა სამუშაო შეხვედრები,** რომლებიც მიზნად ისახავდა არსებული სასკოლო მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიასა და ცვლილების შეტანას (სკოლასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფილოსოფიის რევიზია გამოიწვია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი დოკუმენტების შემუშავების საჭიროებამ).

მასალების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) რევიზია-დაგეგმვა-შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. სკოლამ განსაზღვრა აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეები. ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა დირექცია, მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის შესაბამისი ბრძანება #2-2 22.01.2026 წელი.** ჯგუფს დაევალა ფილოსოფიის რევიზია და პროექტების შემუშავება 2026 წლის 4 თებერვლამდე.

სკოლამ წარმოადგინა **სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი** #1 02.02.2026წ. ოქმის მიხედვით, დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამუშაო ჯგუფმა მოახდინა სკოლის **ფილოსოფიის რევიზია** და შეიმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი. ოქმში მითითებულია, რომ ჩატარდა შეხვედრები სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან

და კითხვარების საშუალებით მოხდა ინფორმაციის გაზიარება და შეგროვება. სკოლამ წარმოადგინა ჩატარებული **კითხვარების შევსებული ვერსიები** სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან და **ასევე კითხვარების ანალიზის დოკუმენტი.**
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,** რომელიც დამტკიცებულია სკოლის **დირექტორის ბრძანებით #2-3 22.01.2026წ.**

ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიაში **გაწერილია პროცედურები:** ფილოსოფიის შემუშავების პირველი ეტაპი მოიცავს **ინფორმაციის შეგროვებას** სკოლის შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ხორციელდება **სიტუაციის ანალიზი.** ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე **სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან:** ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც აისახება დოკუმენტებში. შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გაზიარების ერთ-ერთი საშუალებაა. მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე **უკვე შემუშავებული ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმებს:** სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, **სოციალური ქსელი,** საჯარო განხილვები, სკოლის სტენდი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას მისია-ხედვა **განთავსებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში,** ასევე სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე, **რითაც უზრუნველყოფილია მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.**
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

2022 წელს მოსწავლეთა თვითმართველობისა და მშობელთა ინიციატივითა და შესაბამისი ორგანოების თანხმობით სკოლას მიენიჭა საზოგადო მოღვაწის - მიხეილ მურვანიშვილის სახელი. სკოლამ წარმოადგინა მიხეილ მურვანიშვილის სახელის მინიჭების **დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარის განცხადება (10.05.2019წ.) სკოლისათვის სახელის მინიჭების ინიციატივის შესახებ.** განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიხეილ **მიხეილ მურვანიშვილი** იყო ქართველი მეტყევე და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სურამის გარშემო (ბორჯომ-ბაკურიანის) ფიჭვნარის გაშენებაში და

წიწვოვანი მცენარეების ჯიშების თესლის გამოყვანაში, ასევე სკოლების და ბიბლიოთეკების დაარსებაში, რაც უმნიშვნელოვანესი საქმე იყო საგანმანათლებლო თვალსაზრისით იმ დროისათვის.

სკოლამ წარმოადგინა სახელის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 აგვიტოს ბრძანება #90/ნ

„სსიპ – ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის №1 საჯარო სკოლისათვის მიხეილ მურვანიშვილის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, **ასევე ხაშურის საკრებულოს განკარგულება #56** 2019 წლის 4 ივნისი - „სურამის #1 საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 2022 წლის 8 აპრილი სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

ასევე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც გაცემულია 04.10.2022 წელი და სკოლის დასახელება შესაბამისად არის მითითებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- დირ. ბრძანება #2-3 22.01.2026 წელი - დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- პედსაბჭოს ოქმი - სამოქმედო გეგმის განხილვაზე
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #10 6.02.2026წ. - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე
- დირ. ბრძანება #2-2 22.01.2026წ. - სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 02.01.2026წ. - ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის რევიზიის კომისია
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 03.01.2026წ.
- გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის მოწმობა
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ
- პედსაბჭოს ოქმი - სასკოლო გეგმის დამტკიცებაზე
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - სასკოლო გეგმის შეთანხმებაზე
- სტრატეგიული გეგმა 2026-2030 წწ.

- შინაგანაწესი - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #9 09.01.2026წ. შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- ხაშურის საკრებულოს განკარგულება #56 2019 წლის 4 ივნისი - „სურამის #1 საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 აგვიტოს ბრძანება #90/ნ
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 2022 წლის 8 აპრილი სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-3 22.01.2026წ. მეთოდოლოგია მოიცავს როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, არამედ სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც სკოლის მიერ შერჩეული ფორმით. კერძოდ:

შემუშავების საკითხები: დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: 1. ფილოსოფიის შემუშავება/გაზიარება, 2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცება,

3. გეგმების მონიტორინგი და შეფასება, 4. გეგმებში ცვლილებების შეტანა და 5. გეგმების წლიური ანგარიშის მომზადება. **დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი პროცედურები:** სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის ჩატარება, კვლევის შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ, შემდეგ ეტაპზე გეგმების წარდგენა პედსაბჭოზე განსახილველად, საბოლოო ეტაპზე გეგმების წარდგენა სამეურვეო საბჭოსათვის და მათი დამტკიცება.

ასევე გათვალისწინებულია პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები: დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით პრიორიტეტების იდენტიფიცირებას.

სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმი #3 5.02.2026 წელი, რომლის მიხედვითაც სხდომაზე განიხილეს რევიზიის შედეგად ფილოსოფიის ახალი პროექტი და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. სკოლამ ასევე წარმოადგინა - **სამეურვეო საბჭოს ოქმი #10 6.02.2026 წელი** - შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც 7 წელზეა გათვლილი 2026-2033 წწ. გეგმაზე იმუშავა **სამუშაო ჯგუფმა,** რომლის სხდომის ოქმი #2 03.02.2026 წელი სკოლამ წარმოადგინა. ოქმის მიხედვით, სამუშაო ჯგუფმა არსებული **სტრატეგიული გეგმის რევიზიის შედეგად შეიმუშავა ახალი 2026-2033** წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი. ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შეიტანა ცვლილებები და შეიმუშავა გეგმის ახალი პროექტი 2025-2026 ს/წლისათვის.

სტრატეგიული გეგმის რევიზია გამოიწვია სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან გეგმების შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებამ.

მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა, ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. შესწავლილი მასალებით დგინდება, რომ სკოლამ **შეაგროვა მონაცემები სტრატეგიული მიზნების დასახვის დროს**, გაუკეთა ანალიზი ამ მონაცემებს და შეადგინა სვოტ-ანალიზი, რის შედეგადაც გამოიკვეთა რა არის სკოლის ძლიერი და რა სუსტი მხარე. აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა **შევსებული კითვარები და ანალიზის დოკუმენტი.**

ინდიკატორის მოთხოვნების მიხედვით, სტრატეგიული გეგმა უნდა დამტკიცდეს უფლებამოსილი პირის/ სტრუქტურული ერთეულის - სამეურვეო საბჭოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში სტრატეგიული გეგმა ჯერ განხილულია **პედსაბჭოზე - ოქმი #3 05.02.2026 წელი**. შემდეგ **გეგმა** დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე **#10 სხდომაზე 6 თებერვალი 2026 წელი.**

გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. კერძოდ:

მისიაში გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები: 1. ხარისხიანი, თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება. 2. მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარება. 3. უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა.

გეგმის მიხედვით, სკოლის სტრატეგიული მიზნები განსაზღვრულია, როგორც სტრატეგიული მიმართულებები - დასახულია სულ 7 სტრატეგიული მიზანი: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. 2. ადამიანური რესურსის განვითარება. 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. 7. ორგანიზაციული განვითარება.

თითოეულ სტრატეგიულ მიზანს გაწერილი აქვს შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, რომლებიც **სწორად მიემართება დასახულ მიზნებს.** მაგ. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მისაღწევად სკოლის დასახული ამოცანებია: 1. ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა, 2. სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, 3. სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. 4. აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ. რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე - **სხდომის ოქმი #10 6 თებერვალი 2026 წელი.** სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან - სკოლის ძირითადი ორიენტირია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. აქტივობები ემსახურება ამოცანების შესრულებას.

სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშფასებას. თვითშეფასება გამოიხატება იმ დოკუმენტების ერთობლიობაში, რომლებიც ასახავს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებს. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს** - 2025 წლის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ანგარიში შეეხება: სტატისტიკას, ადმინისტრაციულ საკითხებს - სახელმძღვანელოები, სასკოლო გეგმის შემუშავება და სხვა, დამრიგებლების საქმიანობას, სასწავლო პროცესი მიმდინარეობას, კლუბების საქმიანობას, მოსწ. თვითმმართველობის არჩევნებს და თვითმმართველობის ღონისძიებებს, მასწაველებლთა პროფესიული განვითარების საკითხებს, სანიტარული, სამედიცინო და ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს და სხვა. ასევე სკოლამ წარმოადგინა **2025-2026 ს/წ სკოლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის დოკუმენტი. ყოველწლიური თვითშეფასებისათვის ასევე გამოიყენება კლასის დამრიგებლების ანგარიშები.**

ასევე სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების ანგარიში - **დირექტორის ანგარიში მრჩეველთა საბჭოსადმი.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა-პერიოდი, პასუხისმგებელი პირები, რესურსები. თუმცა გეგმით გაწერილი **ზოგიერთი აქტივობა ზოგადი ხასიათისაა და აქტივობის შინაარსი საჭიროებს დაკონკრეტებას. კერძოდ:**

მაგალითად, სკოლის ამოცანაა ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვა, შესაბამის აქტივობებში კი მითითებულია - მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება. **ამ ჩანაწერით არ ჩანს - კონკრეტულად რა სახის პროგრამებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს.**

კიდევ ერთი, სკოლის ამოცანაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, რომლის შესაბამისი აქტივობაა - შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა. არც ამ შემთხვევაში არ იკითხება კონკრეტულად რა სასკოლო პროექტებია გათვალისწინებული მიმდინარე სასწავლო წელს.

მაგალითად - ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. შესაბამისი ამოცანა კი - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. შესაბამის აქტივობაში მითითებულია - ინვენტარის და მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ), თუმცა არ ჩანს რა კონკრეტული საჭირობები იგულისხმება ინვენტარში. შედარებისათვის, სასკოლო სასწავლო გეგმაში 2025-2026 ს/წ სკოლას მითითებული აქვს: სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის ახლადმიღებული მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სივრცეები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. **ასეთი შინაარსით მოცემული აქტივობები უფრო შაბლონურია, რადგან არ ჩანს აქტივობის კონკრეტული შინაარსი. უფრო უპრიანი იქნება სკოლას წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული სავარაუდო საჭირობები, რაც კონკრეტული ნაბიჯების სახით აისახება სამოქმედო გეგმის აქტივობებში.**

რჩევა: მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები მოცემული იყოს კონკრეტული ნაბიჯების სახით, რომლებიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ პერიოდში და ეს აქტივობები ასახავდეს ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ უფრო კონკრეტულ ქმედებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- დირ. ბრძანება #2-3 22.01.2026 წელი - დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- დირ. ბრძანება #2-2 22.01.2026წ. - სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 02.01.2026წ. - ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის რევიზია-დაგეგმვის მიზნით შექმნილი კომისია
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 03.01.2026წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ
- სტრატეგიული გეგმა 2026-2030 წწ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #10 6 თებერვალი 2026 წელი - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ
- შინაგანაწესი - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #9 09.01.2026წ. შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს. კერძოდ: მეთოდოლოგიაში წერია: სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო.
მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.

მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ხორციელდება დაგეგმარების შეფასებაც, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. **მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არ ჩანს შეფასების მექანიზმები.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, შეფასების პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი, კერძოდ გაიწეროს ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, როგორ ხორციელდება რეაგირება შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ I სემესტრის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგის დოკუმენტი (დოკუმენტში მითითებულია მაგ. ნაწილობრივ შესრულდა - დიფერენცირებული სწავლება, შეფასების ვერიფიკაცია, ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება, მშობლების მონაწილეობით ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება). **გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს** გამოწვევების იდენტიფიცირებას და საჭირო ცვლილების შეტანას სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

პირველადი ავტორიზაციის დროს აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება სკოლის მიერ ჩატარებული SWOT ანალიზით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშით, სამუშაო ჯგუფის ოქმით, რომელშიც გაანალიზებულია მონიტორინგის

შედეგები და ასახულია ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი საკითხები. გასული წლის სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზი გათვალისწინებული და გაწერილია 2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ან მისი შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დოკუმენტურად ასახული, რადგან სტრატეგიული გეგმის შედეგების ანალიზი სკოლამ მეთოდოლოგიის მიხედვით უნდა განახორციელოს 3 წლის შემდეგ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია - დირექტორის ბრძანება #2-3 22.01.2026წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- სტრატეგიული გეგმა 2026-2033 წწ,
- მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის განცხადება (10.05.2019წ.) სკოლისათვის სახელის მინიჭების ინიციატივის შესახებ
- სკოლის ვებ-გვერდი
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურის სქემა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-39 16.04.2026წ. სკოლამ წარმოადგინა სამინისტროსთან შეთანხმებული **საშტატო განრიგი**, ასევე დოკუმენტი - **„სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ“ - დირ. ბრძანება 2-10** 27.01.2026 წელი. დოკუმენტის დანართში გაწერილია სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი პირების ფუნქციები: დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, მტუკ-ის, ექიმის. დოკუმენტში მითითებულია - ტექნიკური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ დოკუმენტში (რომლის დასახელებაა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები) რეალურად ასახულია არა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, მაგალითად პედ. საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწ. თვითმმართველობის და სხვა, არამედ სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი პირების ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები დარეგულირებულია სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

სკოლის სტრუქტურის მიხედვით სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. სამეურვეო საბჭო - სამეურვეო საბჭო შედგება 6 წევრისაგან (2-2 მასწავლებელი და სამივე საფეხურის წარმომადგენელი მშობელი). სამეურვეო საბჭოს არჩევის საბოლოო ოქმი და განკარგულება 14.07.2025 წელი.

2. პედსაბჭო - შედგება 24 მასწავლებლისაგან.

3. დისციპლინური კომიტეტი - კომიტეტში შედის 6 წევრი: საშუალო საფეხურის 2 მოსწავლე, 2 მშობელი და 2 მასწავლებელი. სამეურვეო საბჭოს ოქმი #4 6.10.2025წ. დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ.

4. მრჩეველთა საბჭო - საბჭო შედგება 7 წევრისაგან: სკოლის დირექტორი, მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს წევრი, პედსაბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის თანამშრომელი. **დირექტორის ბრძანება** საბჭოს შექმნის შესახებ #1-30 15.10.2025 წელი.

5. მოსწავლეთა თვითმმართველობა - თვითმმართველობის არჩევის ოქმი. თვითმმართველობის თავმჯდომარეების არჩევის ოქმი (საბაზო) - #1 14.10.2025წ. ასევე ოქმი #1 14.10.2025 წელი - საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევის და დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევის შესახებ.

6. **საგნობრივი კათედრები: სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით - სულ 6 კათედრა:**

1. ქართული ენისა და ლიტერატურის
2. ზუსტი მეცნიერებების
3. საზოგადოებრივი მეცნიერებების
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების
5. უცხოური ენების
6. სპორტის და ესთეტიკური აღზრდის

სასკოლო გეგმაში არ ჩანს რომელი საგნების მასწავლებლები ერთიანდებიან კონკრეტულ კათედრაში, მაგ. როგორ არიან განაწილებული დაწყებითი კლასების მასწავლებლები კათედრებში.

საშტატო განრიგის მიხედვით: დირექციაში შედის: დირექტორი, დ/მოადგილე, ბუღალტერი.
ადმინისტრაცია: მტუკ-ი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი.
მასწავლებლები: სულ 24.
ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი - სულ 7 პირი: ექიმი, 1 ასისტენტი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სტრუქტურა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი.
ასევე, მიზანშეწონილია სასკოლო სასწავლო გეგმა (ან სხვა რომელიმე დოკუმენტი) არეგულირებდეს კათედრების შემადგენლობას საგნების მასწავლებლების მიხედვით და ზუსტად იყოს გაწერილი რომელ კათედრაში ერთიანდებიან კონკრეტული საგნების მასწავლებლები. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში იყოს გაწერილი კათედრის ფუნქციები.
ასევე, მიზანშეწონილია ფუნქცია-მოვალეობების მარეგულირებელ ერთსა და იმავე დოკუმენტში იყოს გაწერილი
როგორც ტექნიკური პერსონალის, ისევე ყველა სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები, როცა დირექტორის მარეგულირებელი ბრძანება ეხება სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. ამავე დროს, მიზანშეწონილია ასეთი ტიპის მარეგულირებელ დოკუმენტში, გარდა სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციებისა, მოცემული იყოს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და რგოლების ფუნქციები, როგორიცაა პედ. საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწ. თვითმმათრთველობა, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრის ფუნქციები, ხარისხის მართვის ჯგუფის.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ შემუშავებულია სხვადასხვა დოკუმენტი, რომლებშიც აღწერილი ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები ხელს უწყობს ზგემ-ის მიღწევას, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. კერძოდ:

დებულებები: მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება - დამტკიცებულია დირ. ბრძანებით #2-22 28.01.2026წ.

ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება - დამტკიცებულია დირ. ბრძანებით #2-16 28.01.2026წ.

დამრიგებლის მუშაობის დებულება - დამტკიცებულია დირ. ბრძანებით #2-28 6.02.2026წელი.

კათედრის დებულება - დამტკიცებულია დირ. ბრძანებით #2-18 28.01.2026წ.

სკოლამ ასევე წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები: ექიმთან #35 15.09.2025წ. დამლაგებელთან #28 15.09.2020წ. დარაჯთან #27 15.09.2020წ. უფროს მასწავლებელთან #6 15.09.2020წ. სადაც ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პერსონალის უფლება-მოვალეობების შესახებ: მაგ. დირ. ბრძანება #1-8 27.02.20219 წელი „სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ".

სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქცია-მოვალეობების განაწილება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩანს წარმოდგენილ ოქმებში. კერძოდ, სამეურვეო საბჭო: სკოლამ წარმოადგინა სხდომის ოქმი #1 6 სექტემბერი 2025 წელი - დღის წესრიგი: 1. 2025-2026 ს/წ. სამუშაო გეგმის დამტკიცება. 2. 2025-2026 ს/წ სასწავლო სასკოლო გეგმის შეთანხმება. 3. დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის არჩევა. 4. მოსწ. თვითმმართველობის არჩევნების თარიღის განსაზღვრა.

პედაგოგიური საბჭო: წარმოდგენილია სხდომის ოქმი #1 8 სექტემბერი 2025 წელი - 1. პედ. საბჭოს წლიური გეგმის დამტკიცება. 2. სასკოლო გეგმის დამტკიცება. 3.. დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის არჩევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
- დირ. ბრძანება #2-10 27.01.2026წ. - სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ
- ადამიანური რესირსების მართვის პოლიტიკა - დირ. ბრძანება #2-13 27.01.2026წ.
- საშტატო განრიგი
- სამეურვეო საბჭოს არჩევის საბოლოო ოქმი და განკარგულება 14.07.2025 წელი
- თვითმმართველობის დებულება - დირ. ბრძანება #2-22 28.01.2026წ.
- თვითმმართველობის თავმჯდომარის განცხადება სკოლის დირექტორს - 10.05.2019წ.
- მასწავლებლების მორიგეობის ცხრილი/განრიგი
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი #1 24.10.2025წ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #4 6.10.2025წ. - დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ
- დირ. ბრძანება #1-30 15.10.2025წ. - მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
- ხელშეკრულება ექიმთან #35 15.09.2025 წელი
- ხელშეკრულება დამლაგებელთან #28 15.09.2020წ.
- ხელშეკრულება დარაჯთან #27 15.09.2020წ.
- ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან #6 15.09.2020წ.
- სადამრიგებლო პროგრამა - მე-5 კლასი
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება - დირ. ბრძანება #2-16 28.01.2026წ.
- დამრიგებლის მუშაობის დებულება - დირ. ბრძანება #2-28 06.02.2026წ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომლითაც დარეგულირებულია შემდეგი პროცესები:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;
ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
დ) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
ე) შრომის პირობების დაცვის წესები;
ვ) წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები;
ზ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი **პერსონალის მართვის პროცესების აღმწერი დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - დირ. ბრძანება #2-13 27.01.2026წ.,** რომლშიც აღწერილია შემდეგი:

- პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცესი;
- ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესი სამუშაო გარემოსთან;
- პერსონალის შეფასების პროცესი;
- პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობის პროცესები;
- თანამშრომლის პირადი საქმე - გაწერილია რა დოკუმენტებისაგან უნდა შედგებოდეს პირადი საქმე
- პერსონალის წახალისების სისტემა

თუმცა დოკუმენტი შაბლონურია და მისი მუხლების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. ერთ შემთხვევაში (ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან) დეტალურადაა გაწერილი მექანიზმები და პროცესები, სხვა შემთხვევებში კი ზოგადი დებულებებია მოცემული. კერძოდ: **მე-5 მუხლში „სკოლის თანამშრომლები“ ჩამოთვლილია** - პედაგოგები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მაგრამ არაა მითითებული ვინ შეადგენს ამ პერსონალს კონკრეტული მოცემული სკოლის შემთხვევაში. **მუხლი 18 – „პერსონალის საქმიანობის შეფასება“** - არ შეიცავს კონკრეტულ მექანიზმებს და პროცედურას, თუ როგორ და რა პერიოდულობით ახდენს სკოლა შეფასების პროცესს, ვინ არის პასუხისმგებელი პირი/პირები კონკრეტული შეფასების პროცესში და სხვა. **არ ჩანს პერსონალის კმაყოფილების შეფასების კონკრეტული მექანიზმები, პროცესი და პასუხისმგებელი პირები.** ასევეა მე-20 მუხლი - პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემთხვევაშიც. ბუნდოვანია ფინანსური რესურსის გამოყოფა ტრენინგებზე მონაწილეობის მიზნით, ერთი თვის ვადით ანაზღაურებად სასწავლო შვებულების შეთავაზება და სხვა.

მე-11 **მუხლი ეხება „თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაციის პოლიტიკას“, თუმცა არ ჩანს კონკურსის ჩატარების დეტალური წესი და შერჩევის პროცედურები (აღნიშნული სხვა დოკუმენტითაა დარეგულირებული). ასევე არ იკითხება ვინ არის პერსონალის შერჩევის პროცესის ადმინისტრირებასა და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.**

სკოლის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი პროცედურები: სკოლის პედაგოგების შეფასების პროცედურა; საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების პროცედურა; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურა.
დოკუმენტს ახლავს დანართები, რომლებიც კონკრეტულად ასახავენ გარკვეულ რეგულაციებს. მაგ. გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი.

დოკუმენტში (მუხლი 18 - პერსონალის შეფასება) ასევე გაწერილია - შეფასების შედეგების შესაბამისად განისაზღვრება თანამშრომლის შემდგომი წახალისების ფორმები: - ანაზღაურების მომატება; დაწინაურება; პრემირება; სხვადასხვა სარგებელი.

მუხლი 18.8. - განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. **მუხლი** 18.9. - თანამშრომელთა შეფასების არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს ისეთი სანქციები, როგორიცაა: როტაცია; გადამზადება; დაქვეითება. აღნიშნული მუხლები არ შეესაბამება სკოლის რეალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უფრო რეალისტურად იყოს შედგენილი და ასახავდეს სკოლის რეალურ სიტუაციას პერსონალის შეფასების ნაწილში.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (მე-11 მუხლი) ითვალისწინებს „თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაციის პოლიტიკა“, მოცემულია კონკურსის ჩატარების წესი და შერჩევის პროცედურები. **ვაკანსიის შემთხვევაში ხდება შესაბამის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადება (მაგ. ექიმის, სსსმ პირის ასისტენტის კონკურსი).**

სკოლა პერიოდულად ადგენს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებსა და შეიმუშავებს მათზე რეაგირების პოლიტიკას. **სკოლაში მოსალოდნელი რისკებია** კონკრეტული მასწავლებლის გამოუცხადებლობა სამსახურში ან/და ჯანმრთელობის რეაბილიტაციის პროცესის გახანგრძლივება, რის გამოც, შესაძლოა, შეფერხდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. **პროცესი სკოლას დარეგულირებული აქვს შემდეგნაირად:** მსგავს შემთხვევაში ხდება საგაკვეთილო გადანაცვლება - კლასში გაკვეთილს დირექტორთან შეთანხმებით ატარებს სხვა საგნის მასწავლებელი, გამცდენი მასწავლებელი კი თავის კუთვნილ გაკვეთილებს ანაზღაურებს სკოლაში გამოცხადების დღეს. თუმცა სკოლა არ აწარმოებს ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალს. წინასწარ თუ აცნობებს მასწავლებელი სკოლას გაცდენის აუცილებლობის შესახებ, ამ შემთხვევაშიც ხდება გაკვეთილის გადანაცვლება. ბიულეტენის შემთხვევაში სკოლა ანაზღაურებს საავადმყოფო ფურცელზე გასული მასწავლებლის სახელფასო სარგოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას შემუშავებული აქვს **პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი,** სადაც გაწერილია პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები. სკოლის **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი** მე-11 **მუხლი არეგულირებს „თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაციის პოლიტიკას**“. მე-12 მუხლი

ითვალისწინებს პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმარებას შემდეგ შემთხვევებში: საკადრო დეფიციტის, ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობის შემთხვევაში და პერსონალის შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს გადამუშავებას და დახვეწას. კერძოდ, დოკუმენტში ნახსენებია სკოლის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც „უზრუნველყოს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე ადამიანთა მოზიდვას“, თუმცა არსად არ იკითხება ვინ ასრულებს ასეთ ფუნქციას სკოლაში. დოკუმენტი შეიცავს ისეთ ჩანაწერს, რომელიც არ შეესაბამება სკოლის რეალობას. მაგ. საჭიროების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და უშუალო ხელმძღვანელი, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ პროგრამას ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში.

ექსპერტებმა შეისწავლეს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურები და ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს სკოლა პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმებას.

სკოლამ 2025 წელს ჩაატარა ღია კონკურსი - სსსმ პირის ასისტენტის ვაკანსიაზე. ექსპერტებმა შეისწავლეს კონკურსის დოკუმენტაცია: დირექტორის ბრძანება #2-51 08.09.2025 წელი „სსსმ პირის ასისტენტის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“. კომისია შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე დირექტორის ბრძანება #1-23 01.09.2025 წელი „სსსმ პირის ასისტენტის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ვადების ჩატარების შესახებ“. საკონკურსო კომისიის ოქმი #1 08.09.2025 წელი. კომისიის ოქმი #2 19.09.2025 წელი.

ასევე ჩაატარა ღია კონკურსი - დაწყებითი კლასების მასწავლებლის ვაკანსიაზე - დირექტორის ბრძანება #1-11 10.04.2025 წელი „დაწყებითი კლასების საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“. ასევე ბრძანება #1-12 10.04.2025 წელი ვაკანსიის საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა კომისიის ოქმი #1 24.04.2025 წელი. კომისიის ოქმი #2 26.04.2025 წელი. ასევე ოქმი #3 25.04.2025 წელი.

სკოლამ ჩაატარა ღია კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #1-42 25.11.2025 წელი „სკოლაში ექიმის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ (კომისიაში შევიდა რესურსცენტრის წარმომადგენელი და დარგობრივი ერთეულის წარმომადგენელი). ასევე დირექტორის ბრძანება #1-38 07.11.2025 წელი „სკოლაში ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა კონკურსის ვადები და პირობები.
საკონკურსო კომისიის ოქმი #1 27.11.2022 წელი. ასევე კომისიის ოქმი #2 29.11.2022 წელი (გასაუბრების ეტაპისათვის 2 კანდიდატის შერჩევის შესახებ). გასაუბრებაზე გამოცხადდა მხოლოდ ერთი კანდიდატი, რომელიც შეირჩა სკოლის ექიმის პოზიციაზე.

ამავე დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს - თუ რა დოკუმენტებისგან უნდა შედგებოდეს პერსონალის პირადი საქმე, ექსპერტებმა შეისწავლეს თანამშრომელთა პირადი საქმეები. **პირად საქმეებში განთავსებულია სავალდებულო ცნობები - ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის წინააღმდეგ ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ შაბლონური დოკუმენტების ნიმუშის სახით გამოყენების დროს მოახდინოს მარეგულირებელი დოკუმენტის იმგვარად გადამუშავება, რომ დოკუმენტი მოარგოს მოცემული სკოლის საჭიროებებს და რეალურ სიტუაციებს და მასში დეტალურად ასახოს სკოლაში მიმდინარე რეალური პროცესები და ზუსტად გაწეროს პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. ასევე მიზანშეწონილია სკოლაში კონკურსის ჩატარების წესი და შერჩევის პროცედურები დეტალურად ასახავდეს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანებაში აღწერილ ეტაპებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლას შემუშავებული აქვს „სკოლის თანამშრომელთა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების" დოკუმენტი - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-8 26.01.2026 წელი. დოკუმენტში გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირებისათვის, კერძოდ - დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის: მტუკ-ის, საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, ბიბლიოთეკარის, ექიმის, დარაჯის, დამლაგებლის, მუშის.

ექსპერტებმა შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები და მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. კერძოდ, ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული იყო სულ 22 მასწავლებელი. მათგან 10 უფროსია, 9 წამყვანი, 2 მენტორი, მოწვეული მასწავლებელი - არ არის.

სკოლის ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებს. ექიმის კვალიფიკაცია დიპლომით არის ზოგადი პროფილის პედიატრი, სერტიფიცირებულია პედიატრიაში და საოჯახო მედიცინაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში აღწერილი პროცესები გუნდური მუშაობის პრინციპებზეა დაფუძნებული. გუნდური მუშაობის პრინციპები ასახულია სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაში. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს პედსაბჭო. სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს

ოქმი #3 5 თებერვალი 2026 წელი, რომლის დღის წესრიგი ითვალისწინებს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა-დამტკიცება-შეთანხმებას, აღნიშნული კი მოითხოვს გუნდურ მუშაობას.

ასევე სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კათედრების ოქმები. მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი #3 30 დეკემბერი 2025 წელი, რომლის დღის წესრიგის საკითხებია: I სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, I სემესტრში მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა, დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობის დაგეგმვა. ასევე **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმი #1** 5 სექტემბერი 2025 წელი. სხდომაზე იმსჯელეს წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო აქტივობებისა და ღონისძიებების საორინეტაციო დაგეგმვას.

ასევე სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 6 სექტემბერი 2025 წელი, რომლის დღის წესრიგში შეტანილია სამუშაო გეგმის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება, დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა კანდიდატის არჩევა და სხვა.

ასევე სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმი #1 7 სექტემბერი 2025 წელი. სხდომაზე განიხილეს მასწავლებლეთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის უკუკავშირის შეფასების სქემის შემუშავების საკითხი. ოქმს ახლავს შესაბამისი დანართი - საგაკვეთილო დაკვირვების ფორმა (დამკვირვებლის უკუკავშირი).

აღნიშნული ორგანოების სხდომებში მონაწილე პირებისა და განხილული საკითხების შინაარსი, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს მონაწილეობით პროცედურებს, ადასტურებს გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა. კერძოდ, სოციალურ ქსელი - ფეისბუქ-გვერდი, სადაც სკოლა მიმდინარე ღონისძიებებთან ერთად აზიარებს წარმატებულ გამოცდილებას. სკოლის დირექტორმა მოიყვანა სკოლაში აღიარების დანერგილი პრაქტიკის მაგალითები - მასწავლებლებისათვის სკოლის მადლობის სიგელების გადაცემა, სკოლის ფეისბუქკზე წარმატების გაზიარება, სამოდელო გაკვეთილის ფარგლებში - წარმატებული გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა.

ამასთან, სკოლის შინაგანაწესის მე-11 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულთა მიმართ **წახალისების ფორმები:** მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოვება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. სკოლა იყენებს წახალისების მექანიზმებს. თუმცა სკოლას ცალკე დოკუმენტი არა აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების შესახებ, რომელშიც გაწერილი იქნებოდა გაზიარების კონკრეტული მექანიზმი/პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლის მიერ შემუშავებულ რომელიმე დოკუმენტში გაწერილი იყოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მექანიზმში აღწერილი უნდა იყოს, როგორ ხდება დაწესებულებაში წარმატებული

გამოცდილების აღიარება და გაზიარება, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი და როგორ ხდება გაზიარებული წარმატებული გამოცდილების გამოყენება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #1 24.04.2025წ. - კანდიდატთა განცხადებების გადარჩევა
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2 26.04.2025წ. - კანდიდატებთან გასაუბრება
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #3 25.04.2025წ. - შედეგების განსაზღვრა
- დირ. ბრძანება #1-8 06.02.2026წ. - მასწავლებლებისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ
- დირ. ბრძანება #1-11 10.04.2025წ. - დაწყებითი კლასების საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ
- დირ. ბრძანება #1-12 10.04.2025წ. - დაწყებითი კლასების საათების შესავსებად გამოცხადებული ვაკანსიის საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- დირექტორის ბრძანება #2-51 08.09.2025 წელი „სსსმ პირის ასისტენტის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“.
- დირექტორის ბრძანება #1-23 01.09.2025 წელი „სსსმ პირის ასისტენტის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ვადების ჩატარების შესახებ“.
- დირექტორის ბრძანება #1-42 25.11.2025 წელი „სკოლაში ექიმის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“
- დირექტორის ბრძანება #1-38 07.11.2025 წელი „სკოლაში ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა კონკურსის ვადები და პირობები.
- საკონკურსო კომისიის ოქმი #1 27.11.2022 წელი.
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელშიც გათვალისწინებულია პერსონალის საქმიანობის შეფასება. კერძოდ, მე-5 თავი არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საკითხებს. კერძოდ, სკოლა ახდენს, როგორც თანამშრომელთა საქმიანობის, მიღწევების და კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციის, ასევე მათი სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას წინასწარ შემუშავებული, მაქსიმალურად მორგებული შეფასების მეთოდის გამოყენებით. **შეფასების პროცედურების ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი**. სკოლის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი პროცედურები:
საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურა. ასევე პერსონალის კმაყოფილების შეფასება.

დოკუმენტში ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების განხორციელებასა და შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლად მითითებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ხოლო **ზოგად ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.** თუმცა დოკუმენტში არ იკითხება რომელი სტრუქტურული ერთეული იგულისხმება კონკრეტული ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებაზე პასუხისმგებლად. არ იკითხება კონკრეტული მეანიზმები, რომელიც განსაზღვრავდა შეფასების სახეს, შეფასების პერიოდს და შემფასებელს/ შემფასებლებს. დოკუმენტი შაბლონური და ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დაკონკრეტებას.

პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმად სკოლაში გამოიყენება **ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები,** კერძოდ საგაკვეთილო დასწრება. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა, ასევე ადმინისტრაციული **პერსონალის შეფასების კითხვარი.**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა უჩვენებს, რომ პროფესიული საჭიროებების დადგენა მასწავლებლების შემთხვევაში ძირითადად ხდება საგაკვეთილო დასწრების საფუძველზე. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილის შეფასების ურთიერთდასწრების ფორმები, რომელშიც მოცემულია შეფასების კრიტერიუმები დამსწრის მხრიდან, გათვალისწინებულია

კომენტარისა და ანალიზის, ასევე სასარგებლო რჩევების ველებიც. ფორმა ასევე ითვალისწინებს მასწავლებლის თვითშეფასებას საგაკვეთილო დასწრების ფარგლებში - მასწავლებელი ავსებს თვითშეფასების ფურცელს, რომელზეც ნიშნავს გასავითარებელ სფეროებს. მაგ. **უცხო ენების საგაკვეთილო დასწრების ფორმა 28.10.2025 წელი.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში დეტალურად იყოს გაწერილი პერსონალის შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს შეფასების სახეს, შეფასების პერიოდს, შემფასებელს/შემფასებლებს და სხვა.
ასევე მიზანშეწონილია დოკუმენტში გაიწეროს, რომ სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში და სკოლამ უზრუნველყოს მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც შექმნილია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-1 22 იანვარი 2026 წელი. ჯგუფის მიზანია მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ამ მიზნით ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას, მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას და სხვა.

სკოლას პროფესიული განვითარების ერთიანი გაწერილი გეგმა არ გააჩნია, თუმცა აქვს შესაბამისი დაგეგმვის პრაქტიკა. კერძოდ, წარმოდგენილია მათემატიკის კათედრის ოქმი #2 8 იანვარი 2026 წელი. დღის წესრიგი მოიცავს კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების დაგეგმვას, ოქმში მოცემულია კათედრაზე შემუშავებული საგაკვეთილო ურთიერთდასწრების განრიგი მარტის თვისათვის.

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი #1 7 სექტემბერი 2025 წელი. დღის წესრიგის მიხედვით, ჯგუფმა შეიმუშავა უკუკავშირის შეფასების სქემა - გაკვეთილის დასწრების ფორმა, რომელიც მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, შეფასების რუბრიკას და რეკომენდაციას. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული საგაკვეთილო დასწრებების შეფასების შევსებული დაკვირვების ფორმები.
ასევე, ხარისხის ჯგუფის ოქმი #2 29 დეკემბერი 2025 წელი, რომელშიც მოცემულია 2025-2026 ს/წ I სემესტრში მხარდამჭერი ჯგუფის მუშაობის შეჯამება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად კარიერული ზრდის თვალსაზრისით ძირითადად განსაზღვრულია ტრენინგებში მონაწილეობა, ურთიერთგამოცდილების გაზიარება, პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხარისხის ჯგუფის ხელშეწყობით. მასწავლებელები ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებას, რომლის შედეგადაც მასწავლებელს ეძლევა უკუკავშირი. კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ კათედრის სხდომებზე.

დირექტორმა სასკოლო პრაქტიკიდან მოიყვანა კარიერული ზრდის მაგალითები - მასწავლებლების სტატუსის ამაღლება სკოლის ხელშეწყობით, კერძოდ პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ ტრენინგების ჩატარება სტატუსის ამაღლების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა პროფკავშირებთან სკოლის თანამშრომლობის დამადასტურებელი მასალა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სასკოლო დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - მე-16 მუხლი ითვალისწინებს ახლადდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციის და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესს. ეს პროცესი გულისხმობს ახალდანიშნული თანამშრომლისათვის სკოლის მიზნების, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებისა და სკოლაში მოქმედი პროცედურების და წესების გაცნობას. ასევე თანამდებობრივი ინსტრუქციის გაცნობას და იმ მოთხოვნების განმარტებას, რაც წაყენებულია მისადმი, ასევე მისი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების გაცნობას. გათვალისწინებულია გამოსაცდელი პერიოდიც.

დოკუმენტში მითითებულია, რომ ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა გაურკვეველია ადმინისტრაციის რომელი წევრი ასრულებს ასეთი პირის მოვალეობას სკოლაში. გარდა ამისა, დოკუმენტს დანართის სახით ახლავს პერსონალის გამოკითხვის ფორმები, რომელიც აღებულია სხვა სკოლის შაბლონიდან. ამ დოკუმენტის სასკოლო პრაქტიკაში გამოყენება საჭიროებს მის გადამუშავებას (პასუხისმგებელი პირების დაზუსტებას).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უფრო რეალისტურად იყოს შედგენილი და ზუსტად და კონკრეტულად ასახავდეს სკოლის რეალობას, უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი განსახორციელებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები. ასევე სკოლის პერსონალის გამოკითხვის ფორმები სოციალიზაციის შესახებ ისე იყოს შედგენილი, რომ მორგებული იყოს მოცემული სკოლის თანამშრომელთა რეალურ ინტერესებს და არ იმეორებდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სასკოლო პრაქტიკის ნიუანსებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გამოკვეთა სკოლაში ხდება პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად. დირექციასთან გასაუბრებით, კათედრის ოქმებისა და სასკოლო პრაქტიკის შესწავლით იკვეთება, რომ ინიციატივების გამოხატვა ხდება საგაკვეთილო დაკვირვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს - სკოლის მიერ სკოლის პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მათი გამოსწორების გზების დასახვას; ასევე დროულად მოახდინოს აშკარა სირთულეების იდენტიფიცირება სკოლის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში და დასახოს მისი მოგვარების გზები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი - სკოლის დირექტორის ბრძანება #2-1 22 იანვარი 2026 წელი.
- უცხო ენების საგაკვეთილო დასწრების ფორმა 28.10.2025 წელი.
- მათემატიკის კათედრის ოქმი #2 8 იანვარი 2026 წელი.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი #1 7 სექტემბერი 2025 წელი.
- ხარისხის ჯგუფის ოქმი #2 29 დეკემბერი 2025 წელი
- გაკვეთილის დასწრების ფორმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- პროფკავშირულ ორგანიზაციასთან სკოლის თანამშრომლობის მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმი - დირ. ბრძანება #2-6 26.01.2026წ. დოკუმენტში საუბარია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურობაზე - „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით“. **ხაზგასმულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები:** 1. შიდა შეფასება - სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. 2. გარე შეფასება - ავტორიზაციის პროცესში მიღებული (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა **დოკუმენტში არ არის გარკვევით აღწერილი ის პროცესები, რომლებიც უნდა იყოს ციკლური.**

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის შექმნა დასტურდება დირექტორის ბრძანებით, ჯგუფის ფუქნციოირება კი მისი ოქმებით საგაკვეთილო დასწრებების შესახებ. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმის დოკუმენტში არ არის მინიშნებული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული. დოკუმენტი ზოგადი და შაბლონურია და საჭიროებს დახვეწას და სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით მიმდინარე პროცესების დეტალურ აღწერას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, ასევე დეტალურად იყოს აღწერილი ის მიმდინარე პროცესები (რომლებიც უნდა იყოს ციკლური), გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურები და შედეგების შეფასების განხორციელების პროცესი.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის სხვდასახვა დოკუმენტში - შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში, სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის **მმართველობით პროცესში** მოიაზრება სკოლის საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა). **ძირითად პროცესში** - კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო **დამხმარე პროცესები** ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას (საქმისწარმოების წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, მატერიალური რესურსების მართვა და სხვა). ასევე 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამ პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია სასწავლო პროცესის მახასიათბელები, ინკლუზიური განათლების პროცესები, მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესები, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პროცესები, მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭრის სისტემები და სხვა. მსგავსი აღმწერები მოცემულია სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი". დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-33 20 თებერვალი 2026 წელი. დოკუმენტი არეგულირებს განცხადების და საჩივრის წარდგენის წესს, ცალ-ცალკე არეგულირებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგად წესს და ვადებს, ასევე დისციპლინური საჩივრის განხილვის ზოგად წესს, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესს. დოკუმენტი ითვალისწინებს წესის გაცნობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმია სასკოლო რეგულაციების გაცნობა შესაბამისი პირებისათვის. სკოლა დაინტერესებულ მხარეებს აცნობს შინაგანაწესს და საჭიროების შემთხვევაში პროცესების მართვის სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. აღნიშნული დასტურდება თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშკრულებებით, სადაც დაფიქსირებულია, რომ შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მისი გაცნობის ფაქტი დასტურდება შესაბამისი პირის ხელმოწერით. ასევე ხელმოწერებით დასტურდება მშობლებისათვის შინაგანაწესისა და სასსკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის ფაქტი. მოსწავლეებისათვის სასკოლო მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა დასტურდება სადამრიგებლო მასალებით.

თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულების მიხედვით, სკოლა ვალდებულებას იღებს სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი; ზ) პერსონალური მონაცემების დაცვა; თ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმი - დირ. ბრძანება #2-6 26.01.2026წ.
- მოსწავლეთა მშობელთან ურთიერთობის დებულება
- „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“. დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-33 20 თებერვალი 2026 წელი
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- მშობელთა კრების ოქმი - შინაგანაწესის გაცნობის შესახებ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ცალკეული მექანიზმები წერილობითი დოკუმენტებისა და სხვადასხვა პრაქტიკის სახით სკოლის მართვის პროცესებთან სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების, უკუკავშირის შეფასებისა და მასზე რეაგირების პროცედურების შესახებ. სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ.

სკოლას მართვის პროცესებთან დაკავშირებით მშობლების ინფორმირების მიზნით შემუშავებული აქვს **მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულება,** რომელიც დამტკიცებულია დირექტორის #2-7 ბრძანებით 26 იანვარი 2026 წელი. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება სხვადასხვა საშუალებით: მშობელთა კრებაზე ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში; ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

სკოლას ასევე **შემუშავებული აქვს კითხვარი მშობლებისათვის,** სადაც მოცემულია სხვადასხვა ტიპის კითხვები მშობლებისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევა მშობელმა გამოხატოს არჩევანი სასურველი სასკოლო ღონისძიების, კლასის საათზე განსახილველი თემების და სხვათა შესახებ. კითხვები შესაძლოა უფრო გაფართოვდეს და სრულად ასახოს მშობელთა ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, **სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები** - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. კათედრები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. კოლეგიური ორგანოების წევრები აფიქსირებენ საკუთარ აზრს და შესაძლებლობა აქვთ გასცენ სხვადასხვა რეკომენდაციები. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, საგნობრივი კთედრების ოქმები, მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- კითხვარი მშობლებისათვის
- კოლეგიური ორგანოების ოქმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად **სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით.** ეზოს მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია რკინის კონსტრუქციის კარები. სკოლის შენობა და მისი ცალკეული სასწავლო სივრცეები, მიუხედავად რეაბილიტაციის საჭიროებისა, კეთილმოწყობილია სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. შენობის ინფრასტრუქტურა სრულიად უსაფრთხოა სასწავლო პროცესისათვის.

სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი - „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ - დირექტორის ბრძანება #2-44 28 აპრილი 2026 წელი. დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და მიზნების მიღწევას. სკოლა უზრუნველყოფს **ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას - აკონტროლებს გარეშე პირების გადაადგილებას სკოლის ტერიტორიაზე. სკოლა აწარმოებს ჟურნალს - გარეშე პირთა და შემომსვლელთა აღრიცხვისა და რეგისტარციის სპეციალური ჟურნალი.** სასწავლო პროცესის შემდეგ სკოლის დაცვას უზრუნველყოფს ღამი დარაჯი.

სკოლას შემუშვებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-30 11 თებერვალი 2026 წელი. გეგმა შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან - სკოლამ წარმოადგინა წერილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტისაგან #MIA 3 26 00361910 03/02/2026, რომელშიც ნათქვამია, რომ დაბა სურამის N1 საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის სამედიცინო დახმარების, ხანძრის საწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების დებულება“,** რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-19 28.01.2026 წელი.

სკოლის გაკეთებული აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის** შესახებ. წერილით სკოლა ითხოვს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და შესაბამისი წინადადებების მომზადებას. სკოლამ ოფიციალური ელექტრონული ფოსტით (Outlook) მიიღო პასუხი სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსაგან, რომლითაც ატყობინებს სკოლას რომ განცხადება რეგისტრირებულია.

სკოლა შერჩეულია სრულის რეაბილიტაციისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) პროექტის ფარგლებში. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციებით.

2023 წლის 2 მარტს სკოლას მიღებული აქვს წერილი #MES 0 23 0000251967 **სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსაგან ხაშურის რესურსცენტრის გავლით**, რომელიც შეეხება სკოლის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი და გადაუდებელი საპროექტო სამუშაოების შესყიდვისათვის დახმარების გაწევის საკითხს. **წერილში სააგენტო აღნიშნავს, რომ** სკოლა შერჩეულია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი „საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროგრამის" ფარგლებში, რომლის განმახორციელებელი ორგანოა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

გარდა ამისა, 2024 წელს 27 თებერვალს სკოლამ წერილობით მიმართა ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლითაც აცნობა სკოლის წინაშე არსებული ინფრასტრქუტურული პრობლემების შესახებ და ითხოვა შუამდგომლობა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რათა დროულად მოხდეს სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყების პროცესი. სკოლის აღნიშნული წერილის საფუძველზე სააგენტომ 2024 წლის 1 მარტს წერილით #MES 9 24 0000253305 მიმართა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შესაბამისი რეაგირების მიზნით. მას შემდეგ სკოლას რაიმე შეტყობინება აღნიშნულ საკითხზე არ მიუღია და მოლოდინის რეჟიმშია.

რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას. სკოლამ წერილობით მიმართა** ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 22/01/2026 და ითხოვა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების დასკვნა. **სკოლას მიღებული აქვს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა 2026 წლის 30 მარტს.** ***დასკვნის მიხედვით „სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით <u>დაზიანებები ძირითადად III ხარისხისაა.</u> არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზი არის ფიზიკური ცვეთა, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედება და შენობის ტექნიკური მოუვლელობა“).***

ექსპერტებმა დეტალურად დაათვალიერეს სკოლის შენობა, ვიზუალური დათვალიერებით შენობაში რაიმე სახის თვალშისაცემი ბზარები არც შიდა და არც გარე პერიმეტრის არც ერთ მონაკვეთზე არ შეინიშნება.

რეაბილიტაციის საკითხზე სკოლამ 24/04/2026 **წერილით** # MES 9 26 0000474975 **მიმართა** ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლითაც დეტალურად აღწერა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურული სიტუაცია და ცალსახად აღნიშნა, რომ სკოლის შენობა საჭიროებს აღდგენა/რეაბილიტაციას. სკოლაში მიმდინარე ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით სკოლამ ითხოვა შუამდგომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, რათა დროულად მოხდეს სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყების პროცესი (სკოლა შერჩეულია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი „საქართველოში საჯარო შენობების ენერგო-ეფექტურობის პროგრამის" ფარგლებში).

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ახალი დასკვნის მოპოვება რეაბლიტაციის შემდგომ 30.04.2028წ.

რეკომენდაცია #1: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - ახალი დასკვნის მოპოვება რეაბილიტაციის შემდეგ - შესრულება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2028 წელი.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას სკოლა უზრუნველყოს **დარაჯის** საშუალებით - საშტატო განრიგით სკოლას გამოყოფილი აქვს 2 დარაჯის შტატი. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება დარაჯთან.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეო-სათვალთვალო ტექნიკით არც შიდა და არც გარე პერიმეტრზე და ვერ უზრუნველყოფს ვიდეო გადაღებას. სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - ვიდეო-კამერების შესყიდვა 30.04.2027წ.**

სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის ბრძანება #1-8 27 თებერვალი 2019 წელი. აღნიშნულ პირს გავლილი აქვს შესაბამისი სერტიფიცირება 2019 წელს - სერტიფიკატი #124/19 გაცემულია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ. 2019 წლიდან დღემდე აღნიშნულ ფუქნციას ასრულებს ერთო და იგივე პირი.

რეკომენდაცია #2: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - კამერების შესყიდვა - შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2027 წელი.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. სკოლას შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც მას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

სართულებს შორის კიბის უჯრედის ერთ-ერთ მონაკვეთზე დარჩენილია ღიობი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მოსწავლისათვის. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - ღიობის შეღობვა რკინის დამცავი ჯებირით 15.09.2026წ.

რეკომენდაცია #3: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - ღიობის შეღობვა რკინის დამცავი ბადით/ჯებირით - შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 15.09.2026 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში 2022 წლიდან ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც კეთილმოწყობილია ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან გადმორიცხული თანხებით სკოლის მიერ ჩატარებული ტენდერის სამუშაოების ფარგლებში. სკოლას შემუშავებული აქვს **დებულება „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ“** - დირექტორის ბრძანება #2-19 28 იანვარი 2026 წელი. ამ დებულებით განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, მედიკოსის უფლება-მოვალეობები, მასწავლებლის ქმედება მოსწავლისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა,

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სამედიცინო კაბინეტი და სამედიცინო ინვენტარი. კაბინეტი სრულადაა აღჭურვილი სამედიცინო ინვენტარით, რომელიც სრულად შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით 10.09.2022 წელი, რომელიც სკოლას გაფორმებული აქვს მომოწდებლისაგან შპს „როიალ“ მედი.

სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია - დიპლომით პედიატრი, სერტიფიცირებული პედიატრიაში და საოჯახო მედიცინაში. ექიმის სამუშაო განრიგი სკოლაში სასწავლო პროცესის ხანგრძლივობის შესაბამისია. ექიმი შერჩეულია საკონკურსო წესით და აღნიშნულ სკოლაში მუშაობს 2023 წლიდან.

სკოლის ექიმი აწარმოებს 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს (გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევებისა, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას.). ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სარეგისტრაციო ჟურნალები მატერიალური სახით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილია **ექიმის ხელმისაწვდომობა.** მიმდინარე სასწავლო წელს სასწრაფოს გამოძახების შემთხვევა სკოლას არ ჰქონია.

სკოლა შეისყიდის საჭირო მედიკამენტებს, სკოლამ წარმოადგინა 12.04.2024 წლის მედიკამენტების მიღება-ჩაბარების აქტი.

ადგილზე დათვალიერებითა და დოკუმენტაციის შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სხვადასხვა საშუალებებით. სკოლაში დადგენილია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. განსაზღვრულია შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლამ წარმოადგინა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულებები:** 1. სკოლის დირექტორის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სკოლაში გატარებული აქტივობების შესახებ. 2. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებასა და საზ. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ. 3. მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარები სკოლის მიმართ მოლოდინების შესახებ. 4. მოსწავლეებთან ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ხელით შექმნილი პლაკატები, დერეფანში გამოკრული პლაკატები და ნახატები, სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამის მასალები). აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ასევე ისაუბრეს მოსწავლეებმაც პირისპირ გასაუბრების დროს.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი - დირ. ბრძანება #1-40 16.11.2022 წელი (იგივე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი). **დირ. ბრძანებით ##1-39 16.11.2022 წელი - დამტკიცებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია“. დირ. ბრძანებით #1-11 20.03.2022 წელი დამტკიცებულია რეფერირების რეესტრის ფორმა.**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო - დირ. ბრძანება #1-30 15.10.2025წ. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ჩატარებულია კამპანია ძალადობისა და ბულინგის თემებზე, ასევე მოსწავლეები გაცნობილი არიან ბავშვთა უფლებებს და შესაბამისად სკოლაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი, სადაც საუბარია სკოლაში მრჩეველთა საბჭოს საქმიანობისა და უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. **თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია მრჩეველთა საბჭოს ოქმები, სადაც წერილობით ასახული იქნება სკოლაში ჩატარებული საინფორმაციო კამპანია უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი (სსსმ მოსწავლეებს ემსახურება სპეციალური მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენტი). გამომდინარე აქედან - სკოლის საგნის მასწავლებლები/დამრიგებლები თავად ასრულებენ ფსიქოლოგის ფუნქციებს ასეთი საჭიროების შემთხვევაში (ესაუბრებიან ბავშვებს მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, გოგონებს ასაკის შესაბამისი პრობლემების შესახებ და სხვა). მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებლები და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას პრევენციული ღონისძიებების გატარებით. შესაბამისად, სკოლა მის ხელთ არსებული

საშუალებებით ახდენს მოსწავლეების **ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირებას,** შედეგების შეფასებას, მოსწავლისთვის **ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას.**

სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა სხვადასხვა კლასში, რომლითაც ირკვევა შემდეგი: დამრიგებლები რეგურალურად ატარებენ სადამრიგებლო საათს. სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლეთა პიროვნული, მორალური და სოციალური განვითარება. კლასის საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა: მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობის შესწავლა; სასწავლო ოთახის მოწყობა–მოწესრიგებაზე ზრუნვა. საკლასო, სასკოლო და სასწავლო ღონისძიებების და ექსკურსიების მოწყობა, დახმარების გაწევა მოსწავლეებისათვის აკადემიური თუ სხვა პრობლემების მოგვარებაში. ტარდება გაკვეთილები ცნობიერების ამაღლების თემატიკაზე, აღინიშნება საერთაშორისო დღეები და სხვა.

მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით **სკოლას შემუშავებული აქვს** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით **დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“,** განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.
თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული 112-ის საკონტაქტო ნომრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-42 28.04.2026 წელი. დოკუმენტი არეგულირებს შენობის სივრცის დალაგებისა და დასუფთავების პროცედურებს, სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების განხორციელებაზე მონიტორინგს და მის პერიოდულობას. დასუფთავებას ახორციელებს 2 დამლაგებელი (შტატით განსაზღვრული ტექნიკური პერსონალი). მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლის სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგს ახორციელებს მტუკ-ი, დირექტორის განცხადებით ასევე დირექტორის მოადგილე.

სკოლას არ წარმოუდგენია დასუფთავებისა და სანიტარული ნორმების გამართულობის შემოწმების გრაფიკი. ეს და მსგავსი პროცესები არ ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში.

ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის შენობა და სანიტარული უზრუნველყოფა. სკოლაში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სხვადასხვა სივრცეებში, მათ შორის სველ წერტილებში და ასევე გარე პერიმეტრზე.

სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას შემუშავებული ჰქონდეს შენობაში (შიდა და გარე პერიმეტრზე) სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების გრაფიკი და განსაზღვრული ჰქონდეს მისი პერიოდულობა, ასევე სანიტარული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექციასთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ". წარმოდგენილია მასწავლებლის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს აგრეთვე მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით.

სკოლას დირექტორის ბრძანებით #2-29 10.02.2026 წელი დამტკიცებული აქვს **„პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი".** პერსონალური მონაცემების დაცვის წესში აღწერილია თუ რომელი მონაცემები მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ასევე, მათი დამუშავების წესი და დეტალურად არის წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - რესურსცენტრის წარმოადგენელი - **რესურსცენტრის წერილი სკოლისადმი** #MES 9 25 0000636769 06/06/2025. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #2-34 13.06.2025 წელი „სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ".

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში

ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. სკოლას გამოყოფილი ჰყავს **აიტი მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ მომსახურებას.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს ამ მიმართულებით სკოლის მიერ ჩატარებული აქტივობებისა და გამოკითხვების შესახებ, ხაზი გაუსვეს სკოლის პედკოლექტივისა და დირექციის განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და მზრუნველობას მოსწავლეებზე, ასევე დირექციის მიმღებლობას მათი აზრების და შეფასებების გათვალისწინების კუთხით. თუმცა რიგ შემთხვევებში სკოლა გამოკითხვებს ატარებს ზეპირსიტყვიერი ფორმით. სკოლას აქვს მშობლებისა და მოსწავლეების აზრისა და შეფასებების გასაგებად თემატური კითხვარების გამოყენების გამოცდილება (წარმოდგენილია სკოლის მიერ ჩატარებული რამდენიმე სახის გამოკითხვის კითხვარი სხვადასხვა მიმართულებით). აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით სკოლას შესაძლებლობა აქვს ჩაატაროს გამოკითხვა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესაფასებლად.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმი - კითხვარები მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესაფასაებლად, ასევე ოფიციალურად განსაზღვროს გამოკითხვის ჩატარების პერიოდულობა და პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ასევე გამოკითხვის ანალიზის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინების მექანიზმი უსაფრთხოების გაუმჯობესების მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წერილი ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს 27/02/2024 - სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი 01/03/2024 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორისადმი სკოლის რეაბილიტაციის თაობაზე
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი 02/03/2023 ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი - სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი და გადაუდებელი საპროექტო სამუშაოების შესყიდვისათვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით
- რესურსცენტრის წერილი სკოლისადმი #MES 9 25 0000636769 06/06/2025 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ.
- დირექტორის ბრძანება #2-34 13.06.2025 წელი „სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ“.
- სკოლის წერილი ხაშურის რესურსცენტრისადმი 24/04/2026 - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებ სკოლის სრული რეაბილიტაციის დროულად დაწყებასთან დაკავშირებით.
- სკოლის წერილი 22/01/2026 - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს
- სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა 30.03.2026 წელი - სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ
- სკოლის განაცხადი სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსადმი შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე
- დირექტორის ბრძანება #2-44 28.04.2026 წელი - „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“
- ხელშეკრულება სკოლის ექიმთან #35 15.09.2025 წელი
- დირექტორის ბრძანება #2-29 10.02.2026 წელი - პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ.
- დირექტორის ბრძანება #2-30 11.02.2026 წელი - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ
- დირექტორის ბრძანება #2-19 28.01.2026 წელი - სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ
- დირექტორის ბრძანება #1-30 15.10.2025 წელი - სკოლის მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
- დირექტორის ბრძანება #1-8 27.02.2019 წელი - სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- დირექტორის ბრძანება #1-40 16.11.2022წელი - რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- დირექტორის ბრძანება #1-11 20.03.2022წელი - რეფერირების რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ
- დირექტორის ბრძანება #1-39 16.11.2022წელი - რეფერირების შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი 03/02/2026 - სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სერტიფიკატი
- სკოლის წერილი 24/04/2026 ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი - საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებ სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყებასთან დაკავშირებით
- მშობელთა კრების ოქმი #1 25.09.2025 წელი - შინაგანაწესის გაცნობის შესახებ
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

   სკოლა მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში. სკოლა განთავსებულია ერთ ორსართულიან შენობაში, რომელიც აშენებულია 1905 წელს და შენობა საუკუნეზე მეტს ითვლის. **სკოლის შენობა არ არის რეაბილიტირებული** - წლებია არ ჩატარებია სარემონტო სამუშაოები, თუ არ ჩავთვლით სკოლის სახსრებით ჩატარებულ ფრაგმენტულ სარემონტო სამუშაოებს 2025 წლის ზაფხულში (პირველი კლასის ოთახის კოსმეტიკური რემონტი, დერეფნების კედლები). 2019 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტომ მოაწყო ღია სპორტული მოედანი, დარჩენილი თანხებით კი სკოლამ გააკეთა ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია.

ელექტრო-გაყვანილობა არ არის გამოცვლილი, რის შესახებაც სკოლამ 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან მიიღო რეკომენდაციები სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. სკოლაში მოუწესრიგებელია საკლასო ოთახის იატაკებიც, ხის მოძველებულ იატაკზე საკლასო ოთახებში გადაადგილება იწვევს ხმაურს, რაც ხელისშემშლელია სასწავლო პროცესისასთვის. შენობის გარეთა ფასადი სრულად მოპირკეთებულია აგურით. მიუხედავად მოძველებული ინფრასტრუქტურისა, შენობის ინტერიერი (კედლები, იატაკები) საკმაოდ მოვლილია, თუმცა საჭიროებს რეაბილიტაციას (კედლებიდან ცვივა შეფითხნული მასალა, ხის იატაკები და ხის ჭერები საჭიროებს გამოცვლას). **ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ სკოლამ 2024 წელს წერილით მიმართა ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და ითხოვა შუამდგომლობა სიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რათა დროულად მოხდეს დაპირებული სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყების პროცესი** (სკოლა შერჩეულია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი „საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროგრამის" ფარგლებში, რომლის განმახორციელებელი ორგანოა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი).

სკოლის შენობას უკანა მხრიდან ესაზღვრება ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზო და მისი მწყობრიდან გამოსული შენობები.
სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. საქვაბე მოწყობილობა მდებარეობს სკოლის უკანა ეზოში.

სკოლაში სულ 12 საკლაო ოთახია. პირველ სართულზე განთავსებულია 6 საკლასო ოთახი, მე-2 სართულზეც 6 ოთახი. **პირველ სართულზეა მოწყობილი** 3 საპირფარეშო (მათ შორის 1 ადაპტირებული საპირფარეშო), სააქტო დარბაზი, ტექნიკური პერსონალის ოთახი, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, ბუფეტი. მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, საინფორმაციო მენეჯერის ოთახი და დირექტორის კაბინეტი.

სკოლაში ვიზიტის დროს სწავლობდა სულ 197 მოსწავლე, განაცხადი შემოტანილია 250 მოსწავლეზე. დაწყებითების კლასები - პირველ სართულზე. პარალელური კლასები არ არის. მაქსიმალური მოსწავლე კლასში 21-ია, ყველაზე ცოტა - 10. საკლასო ოთახები ფართოა და იტევს 25-26 მოსწავლეს. საკლასო ოთხებს აქვთ ბუნებრივი განათება. **მაქსიმალური მოსწავლეებით (250) დატვირთვის შემთხვევაში სკოლას აქვს საკმარისი საკლასო ოთახი, რათა სასწავლო პროცესი განახორციელოს ერთ ცვლაში.**

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია სამ სხვადასხვა ოთახში - ცალ-ცალკეა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია მოძველებული ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით და საჭიროებს კეთილმოწყობას და აღჭურვას. ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მაგიდა და წყლის ონკანი.

სკოლაში არის კეთილმოწყობილი სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. სკოლაში ასევე არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ასევე აქვს კეთილმოწყობილი **სპორტული მოედანი** სკოლის ეზოს პირდაპირ, რომელიც ინფრასტრუქტურის სააგენტომ მოაწყო 2019 წელს. სკოლას აქვს **ბიბლიოთეკა,** სადაც განთავსებულია სამკითხველო სივრცე. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი,

რომლის კეთილმოწყობა განახორციელა 2025 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიცემული თანხებით, სკოლამ თავად ჩაატარა კონკურსი, თუმცა დარბაზის ჭერი დარჩა დაუსრულებელი.

სკოლას აქვს მუშა მდგომარეობაში კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, პრინტერები. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს კომპიუტერული ლაბორატორია და შეამოწმეს კომპიუტერული ტექნიკის მუშა მდგომარეობა.

შენობა-ნაგებობა და მასში განთავსებული ინვენტარი უზრუნველყოფს მოსწავლეების ეფექტურ ჩართვას კურიკულუმით განსაზღვრულ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. **სკოლას აქვს საკმარისი საოფისე ინვენტარი 250 მოსწავლის მიღების შემთხვევაში,** მათ შორის საკლასო მერხები და სკამები, დაფები, მაგიდები.

სკოლას არა აქვს შიდა სპორტული დარბაზი.

შესაბამისობის გეგმაში ასევე გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - შენობის სარეაბილიტაციო პროცესის გავლა.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - სარეაბილიტაციო პროცესის გავლა - შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2028 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს **სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-14 27.01.2026წ. დოკუმენტის მიხედვით,** ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კომპიუტერული კაბინეტები ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის მხოლოდ სამუშაო საათებში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი რეგულირდება სასკოლო ბიბლიოთეკის ფუნქციონირების შესახებ **დებულებით**, რომელიც დამტკიცებულია **დირექტორის ბრძანებით #2-16 28.01.2026 წელი.**

სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას. სკოლა ახორციელებს სასკოლო აქტივობებს სკოლის სხვადასხვა სივრცეში - ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში, ღია სპორტული მოედანზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა - წიგნადი ფონდი და სამკითხველო სივრცე, რომელშიც 20-მდე მოსწავლის მოთავსებაა შესაძლებელი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ასევე სახელმძღვანელოები. **სკოლას საშტატო განრიგით გამოყოფილი აქვს ბიბლიოთეკარის შტატი.** ბიბლიოთკართან გაფორმებულია კნონმდებლობის შესაბამისი **ხელშეკრულება #22 15.09.2025წ.** ბიბლიოთეკარი ახალი დანიშნულია (სკოლის ყოფილი მასწავლებელი), გავლილი აქვს ტრენინგი საბიბლიოთკო საქმეზე, რომელიც ჩაატარა ხაშურის ბიბლიოთეკების გაერთიანებამ. ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებებია: კალიგრაფიისა და სწრაფი კითხვის კონკურსი, წაკითხულის გააზრება, ი. გოგებაშვილის კვირეული, მსოფლიო კითხვის დღე და სხვა. ბიბლიოთეკაში სულ 3456 წიგნია, რომლებიც აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნადი ფონდის ელექტრონულ ვერსიას.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. წიგნები დამუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, რომლებიც გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისათვის. **სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება - დირ. ბრძანება #2-16 28.01.2026 წელი,** რომელიც ითვალისწინებს მკითხველის მიერ რესურსის გატანა-დაბრუნების მარეგულირებელი ნორმებს, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, მუშაობის განრიგს, ბიბლიოთეკარის ფუნქციებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და სხვა. ბიბლიოთეკარს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა, ღია სივრცე და ინვენტარი ისეა მოწყობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების გადაადგილება და ხელმისაწვდომობა** კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეებთან ხელმისაწვდომია.

სკოლას ჰყავს 6 სსსმ მოსწავლეები (I, IV, VII, VIII კლასები), მათ შორის ერთი მე-4 კლასელი შშმ პირი (ეტლით მოსარგებლე). მოსწავლეებს სრულად აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ნებისმიერი რესურსით. სკოლას აქვს იზოლირებული **რესურსოთახი პირველ სართულზე**. სკოლაში არის **ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე.** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ სართულზე. **შენობის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილია პანდუსი,** რომლითაც ეტლით მოსარგებლე დაუკავშირდება სკოლის ცენტრალური შესასვლელის შიდა სივრცეს და უზრუნველყოფილის მისი შესვლა საკლასო ოთახში. <u>თუმცა, სკოლას არა აქვს სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი, რის გამოც ვერ უზრუნველყოფს შენობაში შშმ-პირის თავისუფლად გადაადგილებას მეორე სართულზე საჭიროების შემთხვევაში - ამ ეტაპზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია მე-2 სართულზე.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსის დამონტაჟება 30.04.2028 წელი.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის განხორციელება - სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსის დამონტაჟება გეგმით განსაზღვრულ ვადებში 30.04.2028 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, რომელიც სავსეა მწვანე ნარგავებით, ყვავილნარებით. კეთილმოწყობილია მოსასვენებელი სკამები. ასევე, სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, რაც იძლევა სხვადასხვა მრავალფეროვანი სპორტული აქტივობების გამართვის შესაძლებლობას სკოლის ეზოს ღია სივრცეში. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის დერეფნასა და საკლასო ოთახებში გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრებით და სასწავლო თემატური თვალსაჩინოებებით, ეზოში მოვლილი ნარგავებიტა და ყვავილნარებით, რომლის მოვლა-პატრონობაშიც თავად მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებითა და სასკოლო გარემოზე დაკვირვებით იკვეთება სკოლაში მშვიდი და გარემო და კეთილგანწყობილი ურთიერთობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება - დირ. ბრძანება #2-14 27.01.2026წ.
- ბიბლიოთეკით მუშაობის დებულება - დირ. ბრძანება #2-16 28.01.2026წ.
- ხელშეკრულება ბიბლიოთკართან #22 15.09.2025წ.
- ბიბლიოთკის სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები

- სკოლის წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი 15/08/2025 ადმინისტრაციისა და კათედრებისთვის ნოუთბუქებისა და პროექტორის გამოყოფის თაობაზე.
- სააქტო დარბაზის კეთილმოწყობის ტენდერის მასალები
- ციფრული განვითარების გეგმა
- შესაბამისობის გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება, რომელიც მოიცავს **კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენების გეგმასაც**.

სკოლაში ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელსაც ევალება ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში დაკავშირება emis-ის ტექნიკურ სამსახურთან, ასევე განრიგის მიხედვით ტექნიკის გამოყენების მეთვალყურეობა.

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას 2024 და 2025 წლებში სსიპ ინფრაქტუქტურის სააგენტოსაგან გადაეცა დამატებით ჯერ 7 და მოგვიანებით 10 პერსონალური კომპიუტერი (acer) და ორი ლაზერული პრინტერი (hp). ამ ეტაპზე

სკოლაში არის სულ 17 კომპიუტერი, პირველკლასელთა დამრიგებლების პროგრამით მიღებული ბუკები. გარდა ამისა, სკოლას აქვს მუშა მდგომარეობაში 5 პრინტერი, 2 პროექტორი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, სკოლა სრულად არის დაფარული Wi-Fi-ით. თუმცა სკოლის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის სკოლას არ ჰყოფნის კომპიუტერული ტექნიკა, რის შესახებაც სკოლამ 15/08/2025 წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

კომპიუტერული ტექნიკა განაწილებულია სხვადასხვა სივრცეში სხვადასხვა პოზიციის ადამიანებისათვის. კერძოდ, სამასწავლებლოში დამონტაჟებულია 3 კომპიუტერი, ბიბლიოთეკაში - 1 ცალი, საინფორმაციო მენეჯერისა და ბუღალტრისათვის 1-1. დირექტორის კაბინეტში - 1 ცალი. 2 პრინტერი დამონტაჟებულია სამასწავლებლოში, 1 პრინტერი - დირექტორის ოთახში, 1 პრინტერი - რესურსოთახში.

სკოლა აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. კომპიუტერები პროგრამულად გამართულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინვენტარით სარგებლობის საკითხებს - სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება. სკოლაში მოსწავლეებისათვის განკუთვნილი საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილია კომპიუტერულ კლასში, რომელიც გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისათვის და სხვადასხვა ჩვენებებისათვის. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი საზიარო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში, სადაც დგამ-ავეჯთან ერთად დამონტაჟებულია კომპიუტერული ტექნიკა. სკოლა ელოდება დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის შემოტანას. სკოლა ცდილობს ჩაეთოს ისეთი ტიპის პროექტებში, რაც საშუალებას მისცემს დამატებით აღიჭურვოს კომპიუტერული ტექნიკით. კომპიუტერული ტექნიკის მუშობაზე მეთვალყურეობა დავალებული აქვს საინფორმაციო მენეჯერს. წინასწარი შეტყობინების საფუძველზე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორტორიით არასამუშაო საათებშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა 2025-2026 ს/წ - დირ. ბრძანება #2-41 27.04.2026 წელი
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება
- გასაუბრება მოსწავლეებთან

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების ინსტრუქცია (დ/ბრძანება #2-17 28.01.2026 წელი),** რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, დოკუმენტების გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება ელექტრონული ფორმით Eflow სისტემაში, სკოლას აქვს დირექტორის საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური წიგნი, ასევე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. არ არის შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. მოქმედი ჟურნალები აკინძულია და დანომრილია დადგენილი წესით.

საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს **საქმისმწარმოებელი,** რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვრულია ფუნქცია მოვალეობები.

ექსპერტებმა დაათვალიერეს საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახი და გაეცნენ იქ წარმოებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრნენ საქმისმწარმოებელს. ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებული შემოსული და გასული დოკუმენტების თანხვედრა ელექტრონულ ფორმატთან, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელთა წარმოება და საქმეში დაცული დოკუმენტები ზუსტად ემთხვევა საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ პირობებს.

პირადი საქმე შედგება სავალდებულო და არასავალდებულოდ წარმომადგენელ დოკუმენტებისაგან. პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტებია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი, განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ადრე მიღებულ თანამშრომლებთან), ფოტოსურათი (3X4), რეზიუმე (CV), კადრების აღრიცხვის ფურცელი, შრომის წიგნაკი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი, დამატებითი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები), ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები, ცნობები ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის

შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა სარგებლობს მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), სადაც ასახულია მოსწავლეების, დასაქმებულებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია და Eflow, facebook, ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. **სკოლაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა როგორც შიდა, ისე გარე დოკუმენტბრუნვისათვის** (განათლების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა გარეშე ორგანიზაციებთან). სკოლაში შემოსულ და გასულ ყველა სახის დოკუმენტაციას საქმისმწარმოებელი ტვირთვას ელექტრონულ სისტემაში, მშობლებთან ურთიერთობა იწარმოება ელექტრონული ჟურნალის და სკოლის ფოსტის მეშვეობით. მშობელს შესაძლებლობა აქვს სახლიდან გაუსვლელად ნახოს მოსწავლის მონაცემები. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის (Eflow) საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის პროფილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

ანგარიშგებისა და ინფორმაციას მიწოდების მიზნით სკოლა თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვა უწყებებთან. საქმისწარმოების წესის და მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად სკოლაში ხდება შემოსულ განცხადებებზე თუ სხვა დოკუმენტებზე შესაბამისი რეაგირება. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ინსტრუქცია (დ/ბრძანება #2-17 28.01.2026 წელი)
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- Eflow, eSchool ელექტრონული სისტემების დათვალიერება ვიზიტის დროს
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი, რომლებსაც სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სიახლეები, ხოლო სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას - სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კერძოდ: სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, არის სანდო და უტყუარი. მშობლებმა და მოსწავლეებმა პირიპირ გასაუბრებისას ისაუბრეს სკოლასთან კომუნიკაციის ფორმებზე, რითაც დადასტურდა სკოლისაგან სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიღება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს ზეპირი და წერილობითი გამოკითხვის მეთოდს. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიურების დროსაც, რომლებმაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ აისახა მათი მოსაზრებები სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. აღნიშნა, რომ მათი სურვილები და ინტერესები სკოლის მხრიდან მაქსიმალურადაა გაზიარებული. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გამოკითხვის ანკეტა, რომელიც შეიცავს კითხვებს სასკოლო ღონისძიებების შესახებ მშობლის დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც სრულადაა განთავსებული ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- ვებ-გვერდის დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლები შედგება ძირითადადა მოსწავლეების ვაუჩერული დაფინანსებისაგან და ნაწილობრივ ასევე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლისაგან (სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი კვების ობიექტისათვის). სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლები და ხარჯები. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი ასახულია ბიუჯეტში. **სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - მტკიცებულება სხდომის ოქმი.** სკოლას აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულების, როგორც სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ფინანსური რესურსით. სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი.
სკოლა მოცემულ ეტაპზე ფინანსურად უზრუნველყოფს კომუნალური გადასახადების დაფარვას საკუთარი სახსრებით, ასევე სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის დაფინანსებას, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი განკარგავს თანხებს სკოლის ბიუჯეტის შესაბამისად სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. წარმოდგენილია სკოლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი დოკუმენტი - **ფინანსური მდგომარეობის შესახებ სკოლის დირექტორის ანგარიში 2025 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით.** ასევე **შემოსავალ-გასავლის უწყისი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.** ექსპერტები გაესაუბრნენ ბუღალტერს, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შედგენა ხდება დირექტორისა და მისი ჩართულობით წინა წლის გამოცდილებისა და ფასების გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია სკოლის საჭირობები. **სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების გეგმა 2026 წლისათვის** და შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ სკოლის **დირექტორის ბრძანება #2-65 18 ნოემბერი 2025 წელი.**

სკოლას ჰყავს კვალიფიციური ბუღალტერი მრავალწლიანი სასკოლო გამოცდილებით. ბუღალტრის პროფესია კვალიფიკაცია - ეკონომისტი. აღნიშნულ სკოლაში მუშაობს 10 წელია. შეთავსებით დასაქმებულია ხაშურის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. 2024 წლიდან სკოლა გადასულია ხაზინის მომსახურებაზე. სკოლის ბუღალტერი ამავე დროს არის ბაზრის კვლევაზე და შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც თანამშრომლები (სპორტის მასწავლებელი, ექიმი და სხვა) საჭიროების შემთხვევაში სამსახურებრივი ბარათით მიმართავენ დირექტორს. ბუღალტერი ახორციელებს საქონლის შესყიდვას და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შეძენილ სქონელს გადასცემს შესაბამის პირს.

დოკუმენტების შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი #6 8 დეკემბერი 2025 წელი - დირექტორის ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ
- 2026 წლის სასკოლო ბიუჯეტის გეგმა
- 2026 წლის შესყიდვების წლიური გეგმა
- შემოსავალ-გასავლის უწყისი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი სკოლის ფართის იჯარით გაცემის თაობაზე კვების ობიექტისათვის
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი თანხმობის წერილი სკოლის ფართის იჯარით გაცემის თაობაზე კვების ობიექტისათვის
- იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები კანონით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად: სკოლის შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმი); მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქცია.

კერძოდ, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომლითაც დარეგულირებულია მოსწავალეთა უფლებები და მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები.

მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ, თითოეული მათგანი დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან. იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი და ახალგადმოსული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას.

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, შემუშავებულია საჩივრების განხილვის წესი. სასკოლო საზოგადოება იცნობს და იცავს წესს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციას“, რომელიც შემუშავებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად. დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი“ გაწერილია მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები.

სკოლის მიერ შემუშავებული აღნიშნული შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავით განსაზღვრულ მოსწავლის ძირითად უფლებებსა და და გარანტიებს: ზოგადი განათლების მიღების უფლება; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება; გასაჩივრების უფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; რწმენის თავისუფლება.

მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ფარავს შემდეგ საკითხებს:

- **დისციპლინის დაცვა სკოლის ტერიტორიაზე** - სკოლის შინაგანაწესი.
- **მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში** - სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ.
- **მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია** - სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ - ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები.
- **მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეწყვეტა** - მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი.
- **გასაჩივრების მექანიზმები** - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- **მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის რეგულირება** - თვითმმართველობის დებულება.

- **მშობლებთან ურთიერთობის რეგულირება** - „მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)“.
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები** - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი.
- **რეფერირების პროცედურების განხორციელბაზე უფლებამოსილი პირი და რეფერირების წესი**.
- **2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები** უსაფრთხოებასთან/დისციპლინასთან, სწავლა-სწავლების ღონისძიებებთან, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით და ა.შ.;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

ექსპერტთა ჯგუფთან სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგულაციები ნათელია და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე (სკოლების პორტალი - https://skolebi-admin.emis.ge/schools), გაზიარებულია სკოლის **ფეისბუქ გვერდზე** - **სსიპ მიხეილ მურვანიშვილის სახელობის სურამის N1 საჯარო სკოლა**, გამოკრულია ფოიეში. ექსპერტების მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები. სასკოლო რეგულაციების გაზიარება ჩანს მშობელთა კრებების ოქმებშიც, სადაც ერთ-ერთ საკითხად შეტანილია ბავშვის უფლებების, მოვალეობების და ვალდებულებების განხილვა. **სკოლამ წარმოადგინა მე-5 და მე-8 კლასების მშობელთა კრებების ოქმები 25.09.2025 წელი,** რომლის დღის წესრიგში შედის შინაგანაწესისა და მიმდინარე სასწავლი წლის გეგმების გაცნობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი არეგულირებს პერსონალური მონაცემების დაცვას. ხელშეკრულებას ახლავს მშობლის თანხმობის ფორმა ფოტო-ვიდეო გადაღებაზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ერთ-ერთი მოსწავლის მშობელთან გაფორმებული შევსებული ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობლის თანხმობის ფორმები ფოტო-ვიდეო-გადაღებაზე
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ.
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევის წესის შესახებ დირექტორის ბრძანება #2-12 27.01.2026 წელი.
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი - დირექტორის ბრძანება #2-33 20.02.2026 წელი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება - დირექტორის ბრძანება #2-22 28.01. 2026 წელი;
- „მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი
- რეფერირების წესი
- რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ - დირექტორის ბრძანება.
-

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმების დოკუმენტი - დირექტორის ბრძანება #2-12 27.01.2026 წელი, რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, კლასისა და საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, მოსწავლეთა მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პირობებს, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობებს, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესს და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

სკოლამ წარმოადგინა ნიმუშები - კლასიდან კლასში გადაყვანის - ბრძანება #2-35 23.06.2025 წელი,
პირველ კლასელის ჩარიცხვის - ბრძანება #2-26 30.05.2025 წელი.
დაწყებითი საფეხურის დაძლევის - **ბრძანება** #2-24 19.06.2023 წელი.
მოსწავლის სტატუსის აღდგენის - ბრძანება #2-70 24.09.2024 წელი.
მოსწავლის სტატუსის შეჩერების - ბრძანება #2-15 28.01. 2026 წელი.
შემოსული მშობელთა განცხადებების ნიმუშები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლას 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები, სადაც მოცემულია რა სერვისებს სთავაზობს მოსწავლეებს და რა პირობებით, შინაგანაწესით გათვალისწინებული სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის ქცევის წესები და მოსწავლის მხრიდან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული ზომები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბური მუშაობის მომსახურებას - სამოქალაქო კლუბი, პროექტული სწავლება საშუალო საფეხურზე.

აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები იღებენ ვებ. გვერდის, ფეისბუქ გვერდის, დახურული ჯგუფების და მშობელთა კრების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს (კლუბურ მუშაობას) და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

სკოლა ინფორმაციის გავრცელებას ახორციელებს: დამრიგებლების მეშვეობით მშობლებთან შეხვედრებზე; სოციალურ ქსელში; ვებ-გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩრება/აღდგენის და შეწყვეტის წესი.
- მობილობის ბრძანებები
- მოსწავლის სტატუსის აღდგენის
- მოსწავლის სტატუსის შეჩერების
- საგნების არჩევის შესახებ მოსწავლეთა კრების ოქმი
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული და მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - რომელიც მოცემულია 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. **სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს** პირველკლასელთა ადაპტაციას, სსსმ მოსწავლის ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, დამრიგებლის მოვალოებები ტრანზიციის დროს. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის მომსახურებით სარგებლობენ მიმდებარე თემის მოსწავლეები, რომლებიც ერთმანეთს და მასწავლებლებსაც კარგად იცნობენ, (მოსწავლეებმა და მშობლებმა ხაზი გაუსვეს დირექტორის განსაკუთრებულ როლს მოსწავლეთა ცნობადობის თვალსაზრისით), ამიტომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, რაც აადვილებს ადაპტაციის პროცესს. ადაპტაციის პროცესს ახორციელებს კლასის დამრიგებელი, რომელიც კარგად იცნობს მოსწავლის პირად საქმეს, მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებს, არეგულირებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ადაპტაციას ხელს უწყობს შენობის კეთილმოწყობილი ინტერიერი და მოწეწსრიგებული (მოვლილი) ინფრასტრუქტურაც, რაც ადვილად თვალშისაცემია გარეშე პირისათვის. სხვა სკოლიდან გადმოულმა მოსწავლემ აღნიშნა დამხვედრი კეთილგანწყობილი გარემოს მნიშვნელობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სემესტრული გამოცდის საჭიროება სკოლაში არ დაფიქსირებულა. წარმოდგენილი მასალებით და გასაუბრებით გამოჩნდა, რომ მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს, აღინიშნა სასწავლო ოლიმპიადებზე მოსწავლეების წარმატებული მონაწილოებაც. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა **დირექტორის ბრძანება #2-85 17.10.2024 წელი „ექსტერნის ფორმით გამოცდების დაძლევის შედეგების დამტკიცების შესახებ**“. ასევე ბრძანება #2-80 08.10.2024წ. „ექსტერნის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“.

სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამის გამოცდილება. სკოლა ჩართული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სასწავლო პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებისათვის დახმარებას სწავლაში წარმატების მღწევაში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მასალები.

შესწავლილი მასალები გვაძლევს იმ დასკვნის საფუძველს, რომ მოსწავლეები სკოლისგან იღებენ სათანადო მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ.) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართული არიან საგნის მასწავლებლები. სკოლაში ტარდება ექსტერნის გამოცდები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით და მშობელთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე შესაბამისი ორგანოების თანხმობის მოპოვებით სკოლას მიენიჭა საზოგადო მოღვაწის მიხეილ მურვანიშვილის სახელი. სკოლაში მიმდინარეობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ტარდება მრავალფეროვანი სპორტული აქტივობები - ამხანაგური თამაშები მეგობარ სკოლებთან. სკოლა ჩართულია სასკოლო რაგბის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ტარდება რაგბის გაკვეთილები, მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას რაგბის ფესტივალში.

სკოლა ჩართულია საერთაშორისო პროექტში - eTwining. სკოლამ წარმოადგინა პროექტის მასალები (პროექტის აღწერილობა, პრეზენტაცია ჩატარებული აქტივობების შესახებ).

სკოლას გაფორმებული აქვს **მემორანდუმი (01.02.2026წ.) სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმთან.** თანამშღომლობა მიზნად ისახავს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების და პრეზენტაციების მოწყობას, ერთობლივ კულტურული ღონისძიებების და პროექტების განხორციელებას. ასევე **მემორანდუმი დაბა სურამის ბიბლიოთეკასთან** (15.09.2025წ.). მხარეები თანხმდებიან მოსწავლეებისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელშეწყობაზე ერთობლივი ღნისძიებების ორგანიზებით (კითხვის დღეები, კონკურსები, შეხვედრები).

სკოლას არა აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ფასიანი წრეების სახით.

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლას ცალკე დოკუმენტი შემუშავებული არა აქვს, თუმცა სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც განსაზღვრს რა მექანიზმებით ხდება სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობა.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მშობელთა მხრიდან შეხვედრებზე მიიღება ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი უკუკავშირები კმაყოფილების კითხვარების შევსების გზით. ძირითადად დაკვეთა მოდის სპორტულ აქტივობებზე და არაფორმალური კუთხით სწავლების აქტივობების გაძლიერებაზე. სკოლამ წარმოადგინა კითხვარების ამსახველი მასალები - მოსწავლეებისა და მშობლების.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებისაგან გაცემული უკუკავშირები
- მოსწავლეთა ინიციატივებით განხორციელებული ღონისძიებები
- კითხვარი - მშობლების
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ
- პროექტი eTwining-ის მასალები
- სკოლის მემორანდუმები ბიბლიოთეკასთან და სურამის მუზეუმთან
- მოსწავლის ადაპტაციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით **სკოლაში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:**
1. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიოს მასალა, სადაც იკვეთება კლასებში ჩატარებული ღონისძიებები პროფორიენტაციის მიმართულებით.
2. სკოლამ წერილობით (#MES 0 26 0000428661 14/04/2026) მიმართა ხაშურის პროფესიულ კოლეჯ „ქართლს“ და გამოხატა ურთიერთანამშრომლობის სურვილი და მემორანდუმის გაფორმების ინიციტივა. სამოქალაქო განათლების ფარგლებში - სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი"პროფესიული განათლების მნიშვნელობა". პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი აქტივობა იყო კოლეჯ "ქართლში"ვიზიტი. მოსწავალეებმა დაათვალიერეს კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურა და გარემო.
3. მოსწავლეები სკოლას დაყავს ასევე ლესია უკრაინკას მუზეუმში.
4. სკოლის ექიმი ატარებს საუბრებს მოსწავლეებთან ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

5. სკოლის მოსწავლეები თანამშრომლობენ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საბჭოსთან“ და მოსწავლეებიც და სკოლის კურსდამთავრებულებიც საბჭოს ატიური წევრები არიან. ყოველწლიურად იმართება შეხვედრები თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან.
6. სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, მოსწავლეებისათვის ჩატარდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში მოიწვიეს სკოლის კურსდამთავრებულები (სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები). ისინი ესაუბრნენ მოსწავლეებს თავიანთ პროფესიებზე - შხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეებმა შეძლეს ინფორმაციის მიღება ამ პროფესიების პრაქტიკულ მხარეებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება ხდება რეგიონის მასშტაბით არსებული პროფესიული სასწავლებლის - კოლეჯი „ქართლის“ პოპულარიზაცია. წარმომადგენლები ადგილზე ვიზიტის ფარგლებში აცნობენ მოსწავლეებს შეთავაზებებს. სკოლას შემუშავებული აქვს პროფორიენტაციის სამუშაო გეგმა საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად. აღნიშნულის შესახებ ისაუბრეს მოსწავლეებმა ექპერტებთან შეხვედრის დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წერილი კოლეჯ „ქართლთან“
- ღონისძიებების ფოტო-ვიდეო მასალა
- დამრიგებლის პორტფოლიო
- საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სპეციალური თავი ინკლუზიური განათლების შესახებ, სადაც საუბარია სსსმ მოსწავლის სწავლების მექანიზმებზე, პრინციპებზე და პროცედურებზე.

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. ყველა სსსმ მოსწავლისათვის ისგ-ს შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ისგ-ს შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლებისგან, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

ვიზიტის ეტაპზე სკოლას ჰყავდა 6 სსსმ მოსწავლე: **I, IV, VII დაVIII კლასებში (სულ ბიჭები).** მათგან ერთი **შშმ პირია მე-4 კლასში - ეტლით მოსარგებლე. სსსმ მოსწავლეებს ემსახურება ერთი სპეც. მასწავლებლი,** რომელმაც უფროსი მასწავლებლის სერტიფიკატი აიღო 2021 წელს. მისი სამუშაო გრაფიკი გამოკრულია რესურს-ოთახში. მასწავლებელი ესწრება 6-ვე სსსმ მოსწავლის გაკვეთილებს და ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს მასწავლებლებთან. ასევე მშობლებთან ისგ ჯგუფების შეხვედრები დროს. სსსმ მოსწავლეები არ საჭიროებენ სპეციალურ გრაფიკს რესურსოთახში ინდივიდუალურად სამუშაოდ და ძირითადი მუშაობა საკლასო ოთახებში მიდის. **პირველ კლასელ მოსწავლეს ემსახურება ასისტენტი,** რომელიც ვიზიტის დროს დროებითი მოვალეობის შემსრულებელი იყო ასისტენტის დეკრეტში ყოფნის გამო.

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის **ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას** - სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის.

სკოლამ წარმოადგინა: ისგ-ჯგუფის სხდომის ოქმები, ინდ. სასწავლო გეგმა

ინკლუზიური განათლების შესახებ მონიტორინგის წლიური დასკვნა - 2024-2025 ს/წ 2 ივნისის მდგომარეობით.

დირ. ბრძანება მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ - #2-40 23.04.2026 წელი

შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი #1 25 მაისი 2025 წელი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი #1 15.10.2025 წელი
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი #2 26.12.2025 წელი
- ერთ-ერთი მოსწავლის ინდ. გეგმა
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- შიდა მონიტორინნგის ჯგუფის სხდომის ოქმი #1 25 მაისი 2025 წელი
- დირ. ბრძანება #2-40 23.04.2026წ. შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლას დამატებითი მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, ფასიანი წრეები ან ტრანსპორტის მომსახურება) არა აქვს. სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ იჯარით გაცემული კვების ობიექტი - ბუფეტი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლების სამინისტროს წერილი სკოლისადმი #MES 3 25 0001263513 01/10/2025. ასევე ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 27.10.2025. იჯარის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან და იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა. ბუფეტი შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. მოსწავლეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ბუფეტის მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება (ბუფეტი) რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. სკოლაში საქ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციტივით **ხორციელდება სპორტული პროექტი „ჩაერთე რაგბიში“,** რომელიც საქმიანობას წარმართავს წაიანსწარ შემუშავებული გეგმის თანახმად. სკოლამ წარმოადგინა კლუბის მუშაობის ამსახველი მასალები. წერილი #MES 8 24 0001523529 26/11/2024, რომელშიც ნათქვამია, რომ სკოლასთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით, ითანამშრომლებს რაგბის სერტიფიცირებული ინსტრუქტორი, რომელიც სკოლის სპორტის მასწავლებელთან ერთად, სპორტის გაკვეთილზე ჩაატარებს თაგ-რაგბის სახალისო ვარჯიშ-თამაშებს. გაკვეთილების გარდა, სკოლა მონაწილეობას მიიღებს ღია ვარჯიშებში და სასკოლო რაგბის ფესტივალებში. ზემოაღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დამატებით მომსახურების განხორციელებისას სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, შესაბამის პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით და მოსწავლეთა საუკუთესო ინტერესების დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებას - შექმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრხო გარემო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგაწესი
- პროექტი სამოქალაქო განათლებაში
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი #MES 8 24 0001523529 26/11/2024
- იჯარის ხელშეკრულება (ბუფეტის)
- საქართველოს განათლების სამინისტროს წერილი სკოლისადმი #MES 3 25 0001263513 01/10/2025.
- ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 27.10.2025.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები, სასწავლო გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. სხვადასხვა საგნობრივ კათედრაზე დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, შემოქმედებითი დავალებები და რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები. საგნობრივ პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული თემები, პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, ექსკურსიები, კლუბური საქმიანობები და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციის ზრდასა და ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. კათედრები თანამშრომლობით გეგმავენ სასწავლო პროცესს, არჩევენ შესაბამის რესურსებს, განსაზღვრავენ გრძელვადიან მიზნებს, შემოქმედებით დავალებებსა და შეფასების ინსტრუმენტებს. კურიკულუმების ანალიზი და ინტერვიუები ადასტურებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და ერთობლივად მუშაობენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და წარმოადგენს სასწავლო პროცესის წარმართვის ძირითად ინსტრუმენტს. პედაგოგები აქტიურად იყენებენ კურიკულუმს სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვის, შეფასებისა და მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისთვის. ინტერვიუების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი კათედრების მუშაობის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს კურიკულუმის მნიშვნელობას და თანამშრომლობით ზრუნავს მის განვითარებასა და დახვეწაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
-

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ყველა საგანში, სამივე საფეხურზე საჭირო კურიკულუმი კლასების მიხედვით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ- ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილია მოსწავლეთათვის საინტერესო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლა, რომლის მიზანია მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის, ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის ხელშეწყობა. მრავალფეროვანი საკითხები, შემოქმედებითი დავალებები, რესურსები მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალსიწინებითაა შერჩეული და ემსახურება სასწავლო პროცესის გააქტიურებას. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები (პროექტები, შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ექსკურსიები, სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი და სხვა). არაფორმალური განათლების კომპონენტი აძლიერებს ფორმალურ განათლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ყველა კლასის კურიკულუმი გაწერილი მთელ სასწავლო წელზე თემების მიხედვით სამივე საფეხურზე. კურიკულუმის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა თუ როგორ დაგეგმოს, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. კურიკულუმი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ლოგიკურ და თანმიმდევრულ დაგეგმვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ეტაპობრივ განვითარებასა და ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებას. გათვალისწინებულია აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმებში (მუსიკა, ხელოვნება) წარმოდგენილია თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებები, რომელთა გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოთხოვნებს. შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებების შინაარსი და ესთეტიკური აღზრდის საგნების სპეციპიკა მოითხოვს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული პროგრამა.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, სამივე საფეხურზე, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის გზას. კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური/შემოქმედებითი ხასიათისა და შინაარსის დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტის შექმნისას. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>** **<u>რჩევა:</u>** **მე-2 კლასის კურიკულუმზე** მუშაობისას პედაგოგებმა ყურადღება გაამახვილონ შესაბამის სვეტებში ინფორმაციის სწორად განთავსებას. კერძოდ, გრაფაში ,,საკითხი“ მითითებულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ,,კონტექსტ- მაგალითები“ მითითებულია საკითხები, ხოლო ,,შემოქმედებითი დავალების იდეა“ მითითებულია დავალების მხოლოდ სახელწოდებები . **მე- 4 კლასის კურიკულუმში** გასწორდეს ტექნიკური შეცდომა კერძოდ, შემოქმედებითი დავალება ,,ორანჟერიის შექმნა“ არ მუშავდება თემა-საზომი ერთეულები, გეომეტრია- ფარგლებში. ეს დავალება მუშავდება თემა-ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება- ფარგლებში და კურიკულუმის შესაბამის გრაფაში პედაგოგებს ყოველივე ეს ასახულიც აქვთ.

	მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში, იმ თემების/საკითხების შესაბამისი რესურსების გრაფებია შევსებული, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება შემოქმედებითი დავალებები. აუცილებელია, კურიკულუმის შესაბამის გრაფაში აისახოს ყველა დასამუშავებელი თემის/ საკითხის შესაბამისი რესურსი სახელმძღვანელოდან გვერდების მითითებით. აქვე მიეთითოს გამოსაყენებელი ელექტრონული რესურსების ბმულებიც. **მე-12 კლასის კურიკულუმში** სრულად აისახოს სახელმძღვანელოდან თემები. კერძოდ, ზოგიერთი სახის განტოლებისა და უტოლობის ამოხსნა, სიმრავლის ასახვა, ფუნქცია, ვექტორები. **სასურველია,** სამივე საფეხურზე მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს დავალების იდეები, ან შემოქმედებითი დავალების ბარათები დაერთოს დანართებად კურიკულუმებს.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა პირველი კლასი – „რიცხვების ბორბალი“;”დავეხმაროთ ფიფქიას”; ქართული მეორე კლასი – წერილის მიწერა პერსონაჟისთვის ; მე და საზოგადოება – მესამე კლასი–საინფორმაციო ბროშურის შექმნა; ბუნებისმეტყველება – მეორე კლასი– ”მცენარის მოდელების შექმნა”), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** *სასურველია, საგნობრივ კათედრებზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა.*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, მათში გაწერილია თემის შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ისაუბრეს კიდევ ბევრი აქტივობის შესახებ, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-ს ინდიკატორებს. წარმოდგენილ მასალაში, ასევე ინტერვიუში, ნათლად იკვეთება რას და როგორ იყენებს მასწავლებელი

	სასწავლო მიზნების მისაღწევად, ასევე შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები/საკითხთა ჯგუფები, სასწავლო რესურსები. ყველა თემაში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები, განსაზღვრულია შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას, ასახულია შემოქმედებითი დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების უკეთ გააზრებას. შერჩეულია შესაბამისი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად მიემართება სამიზნე ცნებებს. რჩევა: სასურველია, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები (დაწყებითი საფეხური - მე და საზოგადოება, III-IV კლ; ჩვენი საქართველო V-VIკლ. საბაზო და საშუალო საფეხური- ისტორია,სამოქალაქო განათლება). **შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის მოთხოვნებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია ენობრივი კომპეტენციების განვითარება და მოსწავლეთა უნარებზე ორიენტირებული სწავლების ელემენტები. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში, შემოქმედებითი დავალებების ნიმუშებში, შეფასებ ინსტრუმენტებში და მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებში ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქ სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნება/ქვეცნებების როლი სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნებ მისაღწევად. თემატურ კონტექსტებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება ემსახურება მოსწავლე საგნობრივი კომპეტენციებისა და გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. ამდენად, ჩანს, რ სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად ხორციელდება.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ უკეთ გაიაზროს სასწავლო თემისა და სავალდებულო თემატური ბლოკის მნიშვნელობა, და დაწყებით საფეხურზე, ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაამატოს თემატური ბლოკების სახელწოდებები: მე და გარესამყარო; ადამიანები და ხელოვნება; ხელოვნება ჩვენ გარშემო (საბაზო საფეხურის კურიკულუმების მსგავსად).
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გაწერილია თემის შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალები. ინტერვიუს დროაც აღინიშნა არაერთი აქტივობის შესახებ, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-ს ინდიკატორებს. ჩანს, როგორ მუშაობენ მასწავლებლები სასწავლო მიზნების მისაღწევად და ასევე შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებენ. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმი გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემომედებითობა სჭირდება. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები. პედაგოგებს ასევე გააზრებული აქვთ მოსწავლეთათვის ფუნქციური უნარების მნიშვნელობა და ამ უნარების გასავითარებლად პედაგოგები ახორციელებენ პროექტებს. (საბაზო და საშუალო საფეხური) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. შემოქმედებითი პროდუქტებში ჩანს მოსწავლეების შემოქმედებითი თუ სხვა უნარების განვითარების გზები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, ბუნებისმეტყველების I, III და IV კლასის კურიკულუმებში თემები შეირჩეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. ამავე კლასების კურიკულუმების ჩარჩოში საკითხების, კონტექსტ-მაგალითებისა და შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტი შინაარსობრივად შეცვალონ. ქართულის კურიკულუმების ჩარჩოში დაამატონ ქვეცნებები და რესურსები. მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში დაამატონ თემები და კონტექტ-მაგალითებს დააკვირდნენ. დაამუშაონ თემაში სამივე სამიზნე ცნება. სასურველია, მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს ქვეცნებები და კონტექსტ-მაგალითები. კარგი იქნება თუ, ოთხივე საგნის კურიკულუმებში წარმოადგენენ აქტივობებს, რომელსაც იყენებენ შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი ხელს შეუწყობენ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. დამხმარე რესურსების რელევანტურობა და ვალიდურობა

	განხილულია კათედრის სხდომაზე. გადმოგზავნილ მატრიცებში, ასევე ინტერვიუს დროს, აღწერილია მრავალფეროვანი რესურსი (მათ შორის მანიპულატივები, კვლევითი, ექსპერიმენტალური დავალებისთვის საჭირო რესურსები) რომელიც უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. სკოლას არ აქვს გამართული ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია ყველა საგანმანათლებლო ტიპის ექსპეტიმენტის ჩატარება. ინტერვიუს დროს კი ისაუბრეს საშინაო ექსპერიმენტების სესახებ, რაც ავითარებს მოსწავლეში კვლება ძიებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითადი სასწავლო რესურსად განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასთან ერთად გამოიყენება დამატებითი სასწავლო რესურსები ფილმები, ანიმაციები, ასევე სადემონსტრაციო რუკები, დამხმარე ლიტერატურა და სხვა. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები მეტნაკლებად ასახულია კურიკულუმებში, რაც უზრუნველყოფს გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარებას. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებში ასახული იყოს მრავალფეროვანი და საკითხის შესაბამისი კონკრეტული რესურსები (დაწყებითი საფეხური - მე და საზოგადოება, III-IV კლ; ჩვენი საქართველო, V-VIკლ; საბაზო და საშუალო საფეხური- ისტორია,სამოქალაქო განათლება.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები, ელექტრონული ბმულები), რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები, სადაც იკვეთება მიზნობრიობა და აქტუალურობა. მასალა ორიენტირებულია კონკრეტული სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. რესურსი არის განახლებადი და მორგებული მიმდინარე საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსი: შერჩეული სახელმძღვანელოები, ტელესკოლა, თვალსაჩინოებები, სხვადასხვა ვიდეო - რესურსი, არის საინტერესო, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული, პასუხობს საგანმანათლებლო მიზნებს, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, მუსიკის საგნის კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იყოს კათედრის გამოცდილება, და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის მსგავსად, კურიკულუმის ცხრილში ჩაიწეროს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალი თითოეულ სასწავლო თემაზე.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს, ფილმებს და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს- გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, მატერიალურ რესურსებს-კომპიუტერებს, პროექტორს, პლაკატებს, გეომეტრიული სხეულების მოდელებს და სხვა. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც (ხანის აკადემია, ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge, ელექტრონული სახელმძღვანელო- მათემატიკური წიგნიერება და სხვა). ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში.

	სამივე საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, მიზნობრივად შერჩეული სასწავლო რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი* .

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოდგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ოთხივე საბუნებისმეტყველო საგანში, სადაც ჩანს დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კი ნათლად ისაუბრეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე. აღწერეს აქტივობები. ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელების პროცესში. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება პროდუქტის, პროცესის, დავალების დიფერენცირება. ადგენენ ისგ-ს, შეიმუშავებენ შესაბამის შეფასების რუბრიკებს. კურიკულუმებში ასახული მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (ბუკლეტი, გზამკვლევი, სტატია, მოხსენება, კვლევის ანგარიში და სხვა) მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანის თავისუფლებას, რაც მათ შესაძლებლობების რეალიზებაში ეხმარება. კათედრას აქვს მზაობა, უზრუნველყოს სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სამივე საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საინტერესო და მოდიფიცირებულ რესურსებს. გარდა ამისა, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური

	სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან მიზნებს, მოკლევადიან მიზნებს, შესაბამის აქტივობებსა და აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არსებობს ისგ ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. კათედრის მიერ წარმოდგენილი მუსიკისა და ხელოვნების საგნების ინდივიდუალური გეგმები ადაპტირებული დავალებებით და მრავალფეროვანი აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა გათვლილი, ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს ინკლუზიური სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს სხვადასხვა ინტერესების და შესაძლებლობების მოსწავლეებთან მუშაობისას. საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეული თემები, საკითხები და შემოქმედებითი დავალებების შინაარსი, ასევე, თავად საგნების სპეციფიკა იძლევა ამა თუ იმ დავალების მრავალფეროვანი და შემოქმედებითად განსხვავებული მიდგომების შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმშიც ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებაში დაეხმარება. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ საინტერესო და მოდიფიცირებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი

	ინტერესებით. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები და ორივე საფეხურზე წარმოდგენილია დოკუმენტი. კათედრაზე შემუშავებულია შესაბამისი ისგ. დოკუმენტში მითითებულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ადაპტირებული დავალება, მიზნის მისაღწევი აქტივობები და შეფასება. ინტერვიუზე ასევე აღინიშნა, რომ ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ხშირად ახდენენ შემოქმედებითი დავალების პირობის მოდიფიცერებას, კათედრას ასევე აქვს რემედიაციული სწავლების გამოცდილებაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** დოკუმენტი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, როგორ იგეგმება აქტივობები დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გათვალისწინებით.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ისაუბრეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. გადმოგზავნილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** *სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვთ მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშები საგნების მიხედვით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების დამატებით ფორმებზე და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნებაზე. საუბრისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში შეფასებისათვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება (წერილობითი, ზეპირი). შეფასების რუბრიკები ძირითადად მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია კონკრეტულ საკითხებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. კათედრას აქვს მზაობა კიდევ უფრო გააუმჯობესოს შეფასების კომპონენტი. შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ფსიქო-ემოციურ განწყობას, რესურსებზე ხელმისაწვდომობას, მშობლის ან კლასის დამრიგებლის უკუკავშირს და სხვა. შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად და შედეგების გაუმჯობესების გზად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ უპირატესობას განმავითარებელ შეფასებას ანიჭებენ, რაც, მასწავლებლის მხრიდან, სიტყვიერ ან წერილობით უკუკავშირს მოიაზრებს. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს, მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში. იყენებენ მოსწავლეთა ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებასაც. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გააზრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოყენებული შემოქმედებითი დავალებების შეფასების სისტემა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ამოცანებს. ხელოვნების საგანში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურზე. კათედრა ცდილობს შეფასების კრიტერიუმები წარმოაჩენდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მნიშვნელობას თემატური კონტექსტების გათვალისწინენით, თუმცა, სასურველია, ამ მხრივ კათედრამ გააღრმავოს მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, მუსიკის საგანში, საბაზო და დაწყებით საფეხურზე უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და

	განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე, შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმების შედგენისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტების გათვალისწინება.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისას სასკოლო–სასწავლო გეგმაში პედაგოგებს განსაზღვრული აქვთ მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მიმართულებით. პედაგოგებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშები. გარდა ამისა, საუბრისასაც გამოიკვეთა, რომ აქტიურად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებას და გამოკვეთეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნებაც. მასწავლებლებს კარგად ესმით შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე. დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება განხორციელდეს დაწყებით და საშუალო საფეხურზეც.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზუსტად ამოწმებს დავალების მოთხოვნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:****სასურველია საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, თუ 1-4 კლასში შეიმუშავებენ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- შემოქმედებითი პროდუქტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.;

უცხოური ენები

- საგნობრივი კურუკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- პროექტები;
- რეფლექსია;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი;
- განხორციელებული პროექტების გეგმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;
- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის სხდომის ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ინდ.სასწავლო გეგმები;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური *(ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, მე და საზოგადოება, მათემატიკა)*

- ❖ ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები;
- ❖ შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;

- საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტეგრირებული პროექტი;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები; უკუკავშირი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- არაფორმალური განათლების ამსახველი ფოტო-მასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის წესი.

ესთეტიკური აღზრდა

- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები
- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება)
- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით
- შემაჯამებელი დავალებები, ანალიზი და შეფასების რუბრიკები(მუსიკა, ხელოვნება)
- მოსწავლეთა ნამუშევრები (ნუსიკა, ხელოვნება)
- ესთეტიკის კათედრის ოქმი
- ისგ ჯგუფის სხომის ოქმები

მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმები

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლიგია

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასების რუბრიკები

შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა

შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, მოსწავლის ნაშრომები, შეფასებები

შემაჯამებელი დავალების ანალიზები

ისგ- დაწყებითი და საბაზო საფეხურისათვის

დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა-მე-10 კლასისათვის

პროექტი ,,GOLAN“

კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი

გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინარეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. ხოლო საგნობრივი კურიკულუმები თანხვედრაშია იმ აქტივობებთან, რასაც ახორციელებენ. გარდა ამისა, მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ზოგჯერ ცვლიან სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება. სკოლაში სრულდება შემაჯამებელი სამუშაოები და მათი ანალიზი, ხორციელდება საგაკვეთილო დაკვირვება და შესაბამისი უკუკავშირი, რაც პროცესს მეტად ორიენტირებულს ხდის შედეგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ამსახველი მასალა -მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსურ-შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტის შესრულების ეტაპები (გეგმა), შემაჯამებელი დავალებები და მათი შეფასების რუბრიკა, მოწმობს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესის წარმატებულ დაგეგმვას ხელს უწყობს საინტერესო შემოქმედებითი აქტივობები, რომლებსაც მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობებით და ინტერპრეტაციით ასრულებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის მიმართულებით სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. თუმცა, მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებიც შეაქვთ პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების ბარათები (რომლითაც გათვალისწინებულია

	შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), მოსწავლეთა ნამუშევრებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. განხორციელებული შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია, ასევე, მე-10 კლასში განხორციელებული დიაგნოსტირება, სსსმ მოსწავლეთა ადაპტირებული დავალებები, საბაზო და საშუალო საფეხურზე დაგეგმილი და განხორციელებული საგნობრივი პროექტი ადასტურებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: სასურველია, მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებს მოსწავლეთა, პედაგოგებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს და შესაბამის ცვლილებებს დროულად ახორციელებს. კურიკულუმებში და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ცვლიან და ადაპტირებენ სასწავლო აქტივობებს, რესურსებსა და დავალებებს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლაში დანერგილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობასა და მხარდაჭერას. ასევე, კათედრები ითვალისწინებენ გასული წლების გამოცდილებას, სასწავლო პროცესის შედეგებსა და რეკომენდაციებს, რაც კურიკულუმის მუდმივ განვითარებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. კურიკულუმში გაწერილი მიზნები გამომდინარეობს ესგ-დან. გაწერილი დავალებები შეესაბამება მიზნებს. წარმოდგენილი რუბრიკები კი მოიცავს სწორედ იმ ინდიკატორებს რაზეც დავალება უნდა გავიდეს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეებმა სინასწარ იციან რუბრიკები და იყენებენ მათ ურთიერთშეფასებისთვის. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შეფასების სისტემის ობიექტურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას და სამართლიანობას. მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკები შეთანხმებულია კათედრაზე, მოსწავლეები იცნობენ შეფასების სისტემას. შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. მასწავლებლები იცნობენ შეფასების პრინციპებს, აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დაგეგმილ მოთხოვნებს. კათედრის მიერ მოწიდებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის შეფასების კრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე პასუხობს ვალიდური და სანდო შეფასების მოთხოვნებს საგნის სწავლების სამივე საფეხურზე. მოსწავლეებმა იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ცოდნა. ყველა კრიტერიუმს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, მუსიკის საგანში, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის

	ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასწავლებლები იცნობენ შეფასების პრინციპებს, აქვთ გამოცდილება, შექმნან შეფასების ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი სისტემა. შეფასების რუბრიკებს, როგორც ინტერვიუსას განაცხადეს, კარგად იცნობენ მოსწავლეებიც. შეფასების ინსტრუმენტებს იყენებენ საგანმანათლებო მიზნების, შედეგების, მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვის დროს გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, მოსწავლეთათვის წინასწარაა ცნობილი. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას. შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების რუბრიკები) ხელს უწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები ფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას.

	შესაბამისად, კათედრის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესი ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა დ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები. შეფასება ზუსტად ასახავს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გადმოგზავნილი აქვთ შეფასების რუბრიკები. მათი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. შეფასების შედეგების გადამოწმება ხორციელდება როგორც შიდა მონიტორინგის, ასევე კათედრებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. განიხილება შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და მოსწავლეთა მიღწევები, რაც საშუალებას იძლევა შეფასების კრიტერიუმების ერთგვაროვნებისა და სამართლიანობის კონტროლი. საჭიროების შემთხვევაში ხდება შეფასების ინსტრუმენტების კორექტირება და პედაგოგებისათვის უკუკავშირის მიწოდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტისა და მტკიცებულების სისტემატურ აღრიცხვასა და დაცულ შენახვას დადგენილი წესების შესაბამისად, არანაკლებ 3 წლის ვადით. ინახება შემაჯამებელი დავალებები, შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მონიტორინგის ანგარიშები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობას და მათი გამოყენების შესაძლებლობას კურიკულუმის ანალიზისა და განვითარების მიზნებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;

- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;

შეფასების ვერიფიკაციის წესი;

უცხოური ენები

- საგნობრივი კურუკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- პროექტები;
- რეფლექსია;

(ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, მე და საზოგადოება, მათემატიკა)

- ❖ ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები;
- ❖ შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;
- ❖ საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები;
- ❖ საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- ❖ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ❖ ინტეგრირებული პროექტი;
- ❖ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები; უკუკავშირი;
- ❖ სადამრიგებლო პროგრამები;
- ❖ არაფორმალური განათლების ამსახველი ფოტო-მასალა;
- ❖ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ❖ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ❖ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ❖ ვერიფიკაციის წესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვერიფიკაციის წესი;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

ესთეტიკური აღზრდა

- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები

- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება)
- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება)
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა, ხელოვნება)
- შემაჯამებელი დავალებები (მუსიკა, ხელოვნება)
- მოსწავლეთა ნამუშევრები (მუსიკა, ხელოვნება)
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი

მათემატიკა

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

  ვერიფიკაციის მექნიზმი
- შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, მოსწავლის ნაშრომები,

  შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ამსახველი მასალა მე-10 კლასისათვის
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა
- განხორციელებული პროექტის გეგმა-მონახაზი

კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი დანართებით.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს და მრავალფეროვან ონლაინ რესურსებს, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი. მოსწავლეები თავადაც ქმნიან მარტივ რესურსებს საყოფაცხოვრებო საგნების გამოყენებით. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გასაგები ხდება, რომ ატარებენ კვლევითი ტიპის დავალებებს, მხოლოდ საშინაო ექსპერიმენტის სახით ან თეორიული კვლევის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებული სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები და სხვა). უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენების დასტურია მოსწავლეების მიერ მატერიალურად თუ ელექტრონულად შესრულებული მრავალფეროვანი ნამუშევრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო სასწავლო გეგმაში კლასების და საგნების მიხედვით, დანართების სახით მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში

	ბმულების სახით წარმოდგენილია დამხმარე სასწავლო რესურსი და გრიფირებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმში მითითებული სასწავლო რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რასაც მოწმობს მუსიკისა და ხელოვნების საგნებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დაწყებითი და საბაზო საფეხურის შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები, ასევე, პროექტული სწავლების პროცესში განხორციელებული პრეზენტაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. რესურსების შერჩევა კათედრის წევრების ერთობლივი მუშაობით ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია თემებთან და საკითხებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** *სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები.*

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ რესურსები განხილულია კათედრაზე, წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს და ერგება შეფასების სისტემას. თუმცა ლაბორატორიის არარსებობის გამო ეს რესურსები მწირია და ვერ უზრუნველყოფს კვლევითი უნარების სრულყოფილ განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითად რესურსად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე სასწავლო მიზნების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო თემების დამუშავებას და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას. გათვალისწინებულია ცალკეული საგნების საჭიროება, მოსწავლეთა, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა საჭიროება და ინტერესები. შერჩეული რესურსები ძირითადად მიზნობრივი და ასაკობრივად შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან რესურსის შერჩევის სტრატეგიები და დიდ ყურადღებას აქცევენ სანდოობას, მოქნილობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა სახის დამხმარე სასწავლო რესურსი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში აქტიურად გამოიყენება ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილები, ასევე, სხვადასხვა თვალსაჩინოება, მუსიკის საგნის შემოქმედებითი აქტივობებზე მუშაობისთვის - ვიდეო და აუდიო მუსიკალური რესურსი. კათედრაზე მოწმდება, რამდენად არის ვალიდური შერჩეული სასწავლო რესურსი, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს მიაწოდონ სანდო და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შეესაბამება სასწავლო მიზნებს. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად. მასწავლებლები რესურსის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, ეს აღნიშნეს კიდეც გასაუბრებაზე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. ყველა რესურსი, რომელიც გამოყენებულა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად, სრულად შეესაბამება ესგ-ით და საგნის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება საგნობრივი კათედრების ოქმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არ არის გამართული ლაბორატორიები ქიმიისა, ფიზიკისა და ბიოლოგიის მიმართულებით, სადაც შესაძლებელი იქნება თუნდაც უმარტივესი ექსპერიმენტალური, კვლევითი ტიპის დავალების უსაფრთხოდ შესრულება. არ არსებობს რეაქტივების შესანახი სივრცე, ონკანი და ნიჟარა ჭურჭელის გასარეცხად, გამწოვი კარადა. საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. სტანდარტის შედეგების მისაღწევად არის საკმარისი მხოლოდ ონლაინ რესურსები და მანიპულატივები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება დაგეგმილი აქვს ერთი წლის ვადაში. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორტაორიის მოწყობას საბაზო და საშუალო საფეხურისათვის 30.04.2027 წლამდე. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული** **რეკომენდაცია: სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდირებულია ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სველი წერტილი (ონკანი ნიჟარით), გამწოვი კარადა და ცეცხლგამძლე მაგიდა ექსპერიმენტებისათვის. განახლდეს ჭურჭლისა და რეაქტივების შესანახი კარადები (რეაქტივების შესანახი კარადა უმჯობესია იყოს მეტალის კარკასის). სასკოლო რეაქტივების ნაკრების შეძენა. განახლდეს ჭურჭელი და ფიზიკური ხელსაწყოები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.04.2027 წლამდე.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახული მატერიალური და ციფრული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხდება მათი გამრავალფეროვნება კონკრეტული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. ხელმისაწვოდმია კომპიუტერები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამხმარე ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოსწავლეებს აცნობს არსებული რესურსით სარგებლობის წესებს. წარმოდგენილია ყველა ის საჭირო მატერიალური რესურსი (კომპიუტერები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნისთვის განკუთვნილი რესურსი, მუსიკის შემოქმედებითი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო რესურსი- ხმის გამაძლიერებლები, მოსასმენი აპარატურა, ხალხური საკრავები), რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო შედეგი მიიღწევა სწორად შერჩეული რესურსების დახმარებით. მათში იგულისხმება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე ციფრული რესურსები, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად წარიმართოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებით, ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის საჭირო ყველა რესურსი, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულუმში. თუმცა სკოლას არ აქვს შიდა დარბაზი, რაც ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.** **რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - შიდა სპორტული დარბაზის მოწყობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე გეგმით დათქმულ ვადებში 30.04.2027წ.** **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს განახლებული კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამისია კლასში მოსწავლეთა რაოდენობის. რაც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესი სრულფასოვნად წარმართვას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული იყო სულ 22 მასწავლებელი. მათგან 10 უფროსია, 9 წამყვანი, 2 მენტორი, მოწვეული მასწავლებელი - არ არის. აღნიშნულის გარდა სკოლაში დასაქმებულია 9 პირი (მათ შორის ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი). მიმდინარე პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 6 სსსმ მოსწავლე, რომელთაც ემსახურება სპეციალური მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენტი. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. *სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისად. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას, პერსონალის პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აკმაყოფილებენ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.*

სკოლა ყველა რესურსით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესს, მასწავლებელთა შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის გზით. სკოლა ეფექტურად იყენებს მომიჯნავე დისციპლინის მასწავლებელთა რესურსს, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის ფარგლებში, ისტორიისა და გეოგრაფიის კვალიფიციური მასწავლებლები, უძღვებიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოსა და სამოქალაქო განათლების საგნებს. სკოლა მიმდინარე წელს აწარმოებს პედაგოგთა მორიგეობის განრიგს, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა.
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

უცხოური ენები

- საგნობრივი კურუკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- პროექტები;
- რეფლექსია;

(ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, მე და საზოგადოება, მათემატიკა)

- ❖ ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების და მათემატიკის კურიკულუმები;
- ❖ შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;
- ❖ საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები;
- ❖ საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- ❖ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ❖ ინტეგრირებული პროექტი;
- ❖ გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები; უკუკავშირი;
- ❖ სადამრიგებლო პროგრამები;
- ❖ არაფორმალური განათლების ამსახველი ფოტო-მასალა;
- ❖ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ❖ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ❖ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ❖ ვერიფიკაციის წესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმები;
- რესურსების ჩამონათვალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;

ესთეტიკურიაღზრდა

· მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმები

· შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა, ხელოვნება)

· მოსწავლეთა ნამუშევრები (მუსიკა, ხელოვნება)

· 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

· სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება

მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმები

შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა

შემაჯამებელი დავალების ანალიზები

დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა მე-10 კლასისათვის

კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი დანართებით

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კათედრები და ადმინისტრაცია სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს, მოსწავლეთა ჩართულობას, სასწავლო შედეგებსა და შეფასების პრაქტიკას. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, მიმდინარეობს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, გაკვეთილებზე დაკვირვება და პედაგოგებთან პროფესიული დიალოგი. მონიტორინგის პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების, დიფერენცირებული მიდგომებისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესრულებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესების გზების დასაგეგმად. კათედრები და პედაგოგები აანალიზებენ სასწავლო შედეგებს, შეფასების მონაცემებსა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, რის საფუძველზეც ახდენენ აქტივობების, რესურსებისა და სწავლების მეთოდების კორექტირებას. რეკომენდაციები და გამოვლენილი საჭიროებები გამოიყენება კურიკულუმის დახვეწის, რესურსების გამრავალფეროვნებისა და სწავლების ეფექტიანობის გასაზრდელად. სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და გეგმავს შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. პედაგოგებს მიეწოდებათ რეკომენდაციები და უკუკავშირი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო მოსწავლეთა შეფასება გამოიყენება მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და პროგრესის განსაზღვრისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო, სადაც კათედრები, ადმინისტრაცია და მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო პროცესის განვითარებაზე. შეფასებისა და მონიტორინგის შედეგები ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა აკადემიურ წინსვლას, ისე პედაგოგთა პროფესიულ მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
-

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურ და სრულყოფილ ანალიზს. შეფასების პროცესში გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, სასწავლო რესურსები, გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები, პედაგოგებთან ინტერვიუები, კათედრების მუშაობის მასალები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, აქტივობები და სასწავლო პროცესში მიღწეული პროგრესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სხვადასხვა საგნობრივი, ასაკობრივი და ინდივიდუალური კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასებისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, საჭიროებებს, სწავლის სტილსა და განვითარების ეტაპს. ასევე გათვალისწინებულია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კომპონენტები, სასწავლო გარემო, რესურსებზე ხელმისაწვდომობა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. პედაგოგები სწავლების პროცესს გეგმავენ და აფასებენ კონკრეტული საგნის სპეციფიკისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სიღრმისეულ ანალიზს. გამოიყენება დაკვირვება, ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი, შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და პროექტების განხილვა, შემაჯამებელი დავალებების შედეგები, უკუკავშირის ფორმები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზი. მონაცემთა მრავალმხრივი შეგროვება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განსაზღვრასა და საჭიროებების იდენტიფიცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მრავალ ფაქტორს, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ინდივიდუალურ პროგრესს, მოტივაციას, ჩართულობას, სოციალურ-ემოციურ მდგომარეობას, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და სასწავლო გარემოს. ასევე ყურადღება ექცევა პედაგოგიური მიდგომების ეფექტიანობას, რესურსების შესაბამისობასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს და სასწავლო პროცესის სრულფასოვან
განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   წლიური მუშაობის შედეგად სკოლაში ხდება კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზი და იდენტიფიცირდება მისი განვითარების საჭიროებები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე ფორმირდება სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც მოიცავს როგორც საგნობრივი კათედრების, ისე ინდივიდუალური პედაგოგების მიერ გამოვლენილ საჭიროებებსა და გაუმჯობესების მიმართულებებს. აღნიშნული რეკომენდაციები ეხება სწავლების მეთოდების დახვეწას, რესურსების გამრავალფეროვნებას, შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას და დიფერენცირებული მიდგომების გაძლიერებას. სარეკომენდაციო პაკეტი წარმოადგენს კურიკულუმის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას სკოლა ეყრდნობა წინარე სასწავლო წლის გამოცდილებას,

მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. კათედრები აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მოსწავლეთა შედეგებსა და პედაგოგების უკუკავშირს. მიღებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის განახლება, თემატიკის დაზუსტება, რესურსების დამატება და დავალებების დახვეწა. ამ პროცესით უზრუნველყოფილია კურიკულუმის მუდმივი განვითარება, მისი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო და საგნობრივი კურუკულუმები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი: 18 მაისი 2026 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: **მამუკა ხამხაძე**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: **ლალი მექერიშვილი**



თ. მაცაბეხიძე შ. ნიკოლეიშვილი ნ. ჯოხოძე მ. ყუჩუხიძე